რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 15 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 60 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 60

შვილები: ვიკტორ, აკაკი, მარიამი, ვერა, ნინა, რძალი ოლიკო, სიძეები: დავით იმნაიშვილი, ილია ტოკვი, ფარნაოზ შაქარიშვილი, რძლები რისიმე, ესმა, ქოქო, და სიდონია, ძმა ფილიპე, ძმის შვილები: ამბაკო, ესე, სანდრო, ცაცია და მიშა, ძმის შვილის შვილები: ნადია, ჰიჰიკო და კუკურა ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 18 მარტს ს. სამებაში (გურია) არის დანიშნული ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**ვლადიმერ გექანის ძის კოზგალაძის**

სულის მოსახსენებლათ.

12 მარტს სოფ. შუხუთში (გურია) გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე

**დათიკო ბესარიონის ძე იმნაიშვილი**

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს დედა ბაბილინე, ძმები და დები: ეპიფანე, ალექსანდრე, ნიკიფორე, მოსე, მარო და ელისაბედ იმნაიშვილები; რძლები: ნინა და ტერეზა. დაკრძალვა მოხდება 15 მარტს ნაშუადღევის სამ საათზე შუხუთის ღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში. (1—1)

გულდათუთქულნი: და მარო იმნაიშვილი ცინცაძისა და სიძე ალექსანდრე ფრიდონის ძე ცინცაძე აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს უდროოდ გარდაცვალებას ქ. ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფის

**დათიკო ბესარიონის ძის იმნაიშვილისა**

დაკრძალვა დანიშნულია 15 მარტს ნაშუადღევის სამ საათზე სოფ. შუხუთში (გურია, ლანჩხუთის საზ.) )1—1)

გულ დამწუხრებული მეუღლე პელაგია მერაბ შავლაყაძის ასული, დედა ეკა, ძმები: სტეფანე, იოსებ, ლავრენტი, ნესტორ და სამსონ; რძლები თეოდორა, ნადეჟდა, ვარდიკო, დესპინე და თამარი; დები: ნატალია, ირინა, ლილოსი, ეფროსინე, ნინა და თებრონე, სიდედრი ტასია, ცოლის ძმა ილიკო შავლაყაძე; ქვისლები: მ ხეილ, იაკობ და ჟორჟი ბიბილაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ქ. ბათუმში უდროოდ გარდაიცვალა

**ივანე დიანოსის ძე კახაძე**

გამოთხოვების დღეთ დანიშნულია ხუთშაბათი 15 მარტი. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (გარადოკი, ალექსანდრეს ქ. № 95) დაკრძალვა კი მოხდება ქ. ბათუმის სასაფლაოზე. (1—1)

## თფ. ქართ. ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო

აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ვაჭართა და მრეწველთა კავშირის სასარგებლოდ შემოწირულების გაწერა უკვე დამთავრებულია, სიები დამზადებულია. ვაჭრები და მრეწველები ვალდებულნი არიან მათზე გაწერილი ფული დაუყოვნებლივ შეიტანონ, რადგან იმ განსაცდელის დროს, რომელშიდაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, ყოველივე დაგვიანება დანაშაული იქნება.

გაწერილი ფულიდან ოთხმოცდაათი ასეული (90 პროც.) გადაეცემა ეროვნულ საბჭოს, ხოლო 10 პროც. ვაჭართა და მრეწველთა კავშირს.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება საბჭოს თავმჯდომარე ნ. წვერავასთან და აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა იქნას შეტანილი ამიერ-კავკასიის ბანკში საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე № 346. 4—4

## თფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

ამა წლის 9 მარტიდან გამოქვეყნებულ საქონლის შემოტან-გატანის არსებულ წესის შესაცვლელად თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა, რათა მიმდინარე წლის 12 მარტიდან ნებადართულ იქმნას აბრეშუმის თესლის -გრენის დაუბრკოლებელი გატანა ამიერ-კავკაჩიის საზღვრებში.

ეს დადგენილება ეცნობა აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს და ამის შემდეგ ყველას საშვალება ეძლევა უნებართვოთ წარუდგინონ თესლი სადგურის უფროსებს თავის ადგილზე გადასაგზავნათ.

(3—2) თფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

## სახლის კომიტეტებს

საბარათო სისტემის განყოფილება სთხოვს ყველა სახლის კომიტეტებს ამ თავითვე შეუდგენ ახალ სასურსათო ბარათების მიღებას (შაქრის, ნავთისა და სხ.) რომ ამით თავიდან აცილებულ იქმნას თვის ბოლო რიცხვებში ბიუროებთან მოქალაქეთა შეგროვება და გრძელი რიგები.

(3—2) ქალაქის გამგეობის საბარათო სისტემის განყოფილება.

## შაქარი და ნავთი

12 მარტიდან ყველა უბნის საბარათო ბიუროებში დაიწყო დარიგება მესამე სერიის სასურსათო (შ. ქარი, ნავთი და სხვ.) ბარათებისა, აპრილს, მაისისა და ივნისისათვის, სახლის კომიტეტები ბარათებს მიიღებენ რიგს გარეშე. ბარათების მისაღებათ სახლის კომიტეტებმა საჭიროა წარადგინონ ძველი სასურსათო ბარათები, სახლის წიგნები და სახლის სარეგისტრაციო უწყებანი. ყალბი ცნობების მიწოდებისთვის სახლის კომიტეტები სასამართლოში იქნებიან მიცემულნი.

თვითეული სასურსათო ბარათი ღირს 25 კაპ.

(3—3) ქალაქის გამგეობის საბარათო განყოფილება.

## ღ ვ ი ნ ო

ღვინის ბარათებს იძლევიან 2 თვის ვადით. ნოემბრის, დეკემბრის და იანვრის ღვინის ტალონები გამოდგება მარტში, აპრილში და მაისში. ღვინის ბარათები მიიღება მესამე სერიის სასურსათო ბარათების (აპრილის, მაისის და ივნისის) წარდგენისთანავე.

(3—3) ქალაქის გამგეობის საბარათო განყოფილება.

## ახალი მთავრობა

ევგ. გეგეჭკორმა სეიმის მონდობილობით უკვე შეადგინა ახალი მთავრობა. 13 მარტის სხდომაზე ეს მთავრობა უკვე წარუდგა სეიმს თავის მომავალი სამოქმედო პროგრამით. ამ გვარათ უკვე განმტკიცდა პარლამენტარულ წეს-წყობილების მთავარი პრინციპი: მთავრობის პასუხისმგებლობა წარმომადგენლობით დაწესებულების წინაშე. მთავრობა აღმასრულებელი ძალაა, ის ყველა თავის ნაბიჯს, ყოველს მოქმედებას სეიმის ნებასურვილს უმორჩილებს. სეიმისაგან ღებულობს ის დავალებას, სეიმს ურდგენს სამოქმედო გეგმას და მხოლოდ მას შემდეგ იწყებს მუშაობას, როცა ის მთავრობის განზრახვებს იწონებს. ასე იქნება შემდეგშიაც. საკმაოა სეიმმა მთავრობის რომელიმე ნაბიჯი არ მოიწონოს, რომ ეს მთავრობა გადადგეს.

როგორია ახალი მთავრობის პროგრამა? რის გაკეთებას ფიქრობს ის მომავალში?

ახალ მთავრობის პროგრამა აგებულია იმ დეკლარაციაზე, რომელიც სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ გამოაქვეყნა სეიმში. მაგრამ ს.-დ. ფრაქციის დეკლარაცია შეიცავდა მთავარ დებულებებს, საერთო სახელმძღვანელო პრინციპებს. მთავრობის დეკლარაცია კი ამ ზოგად პრინციპების უფრო კონკრეტიულ გამოხატულებას წარმოადგენს. კითხვები, რომლების გადაჭრას ახალი მთავრობა ფიქრობს, ერთი მეორეზე უფრო სერიოზულია. ზავის საკითხი, ეკონომიურ კრიზისის თავიდან აშორება, სეიმის მიერ მიღებულ მიწის კანონის ცხოვრებაში გატარება და ანარქიის მოსპობა— ამას და მრავალ სხვა საკითხებს ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ არც ერთის გადადება და უყურადღებოთ დატოვება არ შეიძლება. სეიმსაც პრინციპიალურათ გადაწყვეტილი აქვს ეს კითხვები. მაგრამ მთავრობისთვის ეს პროგრამა იგივეა, რაც მსახიობისთვის პიესა. ამ მხრით, მთავრობამ საკუთარი შემოქმედებითი ნიჭი უნდა გამოიჩინოს. და თუ საჭიროა ზავი და ეკონომიურ და ადმინისტრატიულ წეს-რიგის დამყარება, მთავრობის მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ამისთვის ნიადაგი მოამზადოს და ქვეყანა გააძლიეროს. ზავის ჩამოსაგდებათ საჭიროა შეიარაღებულ ძალის შექმნა, ხოლო ანარქიის მოსასპობათ და მშვიდობიანობის დასამყარებლათ მარტო რეპრესიებისათვის მიმართვა როდია საკმაო: საჭიროა გამოინახოს ისეთი ნიადაგი, რომელსაც მთავრობა დაეყრდნობა თავის მოღვაწეობის დროს. ასეთი ნიადაგია საარსებო რეფორმების ცხოვრებაში გატარება.

საჭიიროა ჩქარა გატარდეს მობილიზაცია, მაგრამ ამისთვის საჭიროა ამიერკავკასიაში მცხოვრებ ყველა ერთა საარსებო ინტერესების შეთანხმება. ამ ნიადაგზე შეიძლება აშენდეს ძალა, რომელიც გარეშე მტერსაც გაუმკლავდება და შინაურ ანარქიასაც შეებრძოლება. ამ ერთობის გარეგნული გამოხატულება უნდა იყოს ყველა შეიარაღებულ ძალების დამორჩილება ახალ მთავრობისათვის.

საგულისხმოა, რომ ახალ მთავრობის დეკლარაცია სეიმის მიერ ერთხმათ იქნა მიღებული. მაშასადამე, სეიმი და სეიმის სახით ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი, თითქმის ყველა მცხოვრებნი, ახალ მთავრობის პროგრამას იწონებენ. მაგრამ ასეთი ერთსულოვნობა, როგორც ეს სეიმის ტრიბუნიდან განაცხადა ირ. წერეთელმა, მხოლოდ სეიმის კედლებშია, გარეთ კი მრავლობით არიან კონტრ რევოლიუციონური ჯგუფები, რომელნიც აშკარათ მოქმედებას ვერ ბედავენ, და ამიტომ ქურდულათ ეწევიან თავის ბნელ მოღვაწეობას და რევოლიუციის დასამარებას და დემოკრატიის ალაგმვას ცდილობენ.

იმედია, ახალი მთავრობა შესძლებს კონტრ-რევოლიუციონერთა ალაგმვას, გარეშე მტრის მოგერებას და წეს-რიგის დამყარებას, მაგრამ ამისთვის ჩაჭიროა დემოკრატიის დახმარება, უხალხოთ მთავრობას არაფრის გაკეთება არ შეუძლია და არც ნება აქვს იარსებოს ხალხის სურვილის წინაალმდეგ.

დემოკრატიის, განსაკუთრებით მისი რევოლიუციონურ ორგანიზაციების ვალია ახალ მთავრობას მხარი დაუჭიროს და მით ხალხის სასარგებლო მოღვაწეობა უზრუნველყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაეცემა ახალი მთავრობა, მაგრამ ეს არ იქნება ევგ. გეგეჭკორის კაბინეტის დაცემა, ეს იქნება დაცემა მთელი დემოკრატიის და მასთან ერთათ ახალ წყობილების.

დემოკრატია ვერ უღალატებს ახალს მთავრობას, სანამ ის თავის თავზე არ იტყვის უარს.

## ესერები და ახალი მთავრობა

სოც. რევ. პარტია არ არის კმაყოფილი იმ პრინციპით, რომელიც დაედვა საფუძვლათ ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენას. განსაკუთრებული მდგომარეობა ამიერ-კავკასიის, მისი მრავალ ერიანი შემადგენლობა, ზოგიერთ ერთა დემოკრატიის განუვითარებლობა, მაგ. თათრების, სომხების, რომელნიც თავის ხმას ბეგებს და სხვა ნაციონალისტურ ჯგუფებს აძლევენ შეუძლებლათ ხდის საყსებით ცხოვრებაში იმ პრინციპის გატარებას, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უფრო სასურველი და სანატრელია. ჩვენ გვინდა წმინდა დემოკრატიული მთავრობა, ჩვენ ვისწრაფით ისეთ მთავრობის შედგენისაკენ, რომელსაც სულით და გულით შევეძლება მივენდოთ.

მაგრამ რა ძალებზე შეიძლება დაყრდნობა ასეთ მთავრობის შედგენის დროს?

ყოველ პარლამენტში მთავრობა უნდა ეყრდნობოდეს დეპუტატების უმრავლესობას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ერთ დღესაც ვერ იარსებებს. კავკასიის კომისარიატის შედგენის დროსაც, როცა ეს შედგენა ერთიანათ რევოლიუციურ ორგანოების ხელში იყო, ეს უკანასკნელნი იძულებული გახდენ ძალთა განწყობილებისთვის მხარეში ანგარიში გაეწიათ და გარდა თავის რევოლიუციონერებისა მთავრობაში სოც.-დემოკრატიის და ს.-რევოლიუციონერებთან ერთათ თათრის და სომხის ნაციონალისტებიც იქნენ მოწვეული.

რათ მოხდა ეს, თუ არა იმ სამწუხარო აუცილებლობის გამო, რომელსაც წარმოადგენს ამიერ-კავკასიის აჭრელებული სინამდვილე?

და ახლაც, როცა სეიმში ძალთა განწყობილება უფრო ნათლათ სჩანს, განა შეიძლება იმ პრინციპის გატარება, რომელიც თხოულობს ერთფეროვან სამინისტროს შედგენას?

შეიძლება გვითხრან, თქვენ განგებ მოიჭერით გზა ამ მიზნის მიღწევისაკენ, როცა სეიმში ფრონტის წარმომადგენლების დაშვებაზე უარი სთქვითო.

მარა უნდა ერთი ვკითხოთ ამ ბრძენ პოლიტიკოსებს, განა მათ შეეძლოთ მარტო თითებზე დაყრდნობა, თუ ფეხქვეშ რეალური ძალა არ ექნებოდათ? ხოლო რომ ჯარი წასულია ამიერ-კავკასიიდან, ამას ხომ მტკიცება არ უნდა? ესეც რომ არ იყოს, განა თუნდ შეერთებულ ს.-დემ. და ესერებს ექნებოდათ უმრავლესობა სეიმში? მეორე კლასის გიმნაზიელიც კი დაითვლის, რომ ამ ორ პარტიას უმრავლესობა არ ექნებოდათ სეიმში, ხოლო ცხოვრებაში მით უმეტეს.

წინეთ რევოლიუციური ორგანიზაციები ესერების მონაწილეობით ამას ანგარიშს უწევდენ. ახლა კი ესერებს აღარ სურთ ასეთივე რეალური პოლიტიკის წარმოება იკისრონ. და პირიქით სხვას უკიჟინებენ ასეთ პოლიტიკის წარმოებას.

ჩვენ ვეკითხებით „ზნამია ტრუდას" ხელმძღვანელებს, როგორ ფიქრობენ ისინი, გაძლიერდა მას შემდეგ დემოკრატიის პოზიცია, გაღონიერდა უფრო დემოკრატია იმდენათ, რომ მას ახლა შეეძლოს თავის საკუთარ მხრებზე აიკიდოს მთელი ქვეყნის ბედი?

გასული წლის მაისში ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით სოციალისტების სამინისტროში შესვლის, იმ რწმენის გამო, რომ საამისო პირობები არ იყო მომწიფებული. სექტემბერში რევოლიუციის მსვლელობის მიხედვით ჩვენ საჭიროთ მივაჩნდა წმინდა დემოკრატიული მთავრობის შედგენა, ესეც მაშინდელ ძალთა განწყობილების მიხედვით მთელ რუსეთში.

ამავე პრინციპის ე. ი. ძალთა განწყობილების მიხედვით ჩვენ ამიერ-კავკასიაში ნოემბერში იძულებული გავხდით არა ერთფეროვანი მთავრობა შეგვედგინა, არამედ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებისაგან შემდგარი, მხოლოდ პლატფორმა, სამოქმედო პროგრამა კი უნდა მიეღოთ რევოლიუციურ ორგანოების მიერ შემუშავებული.

დღესაც ასეთი პრინციპის წამოყენება დასჭირდა სეიმს, ე. ი. სამინისტროს შედგენა ერთი გარკვეული, რევოლიუციური პლატფორმის გარშემო და მთავრობაში აყვანა ყველა ერის უმთავრეს პარტიების, რომელნიც კი ამ პლატფორმას დაეთანხმენ და მისი ცხოვრებაში გატარება იკისრეს.

ამ პლატფორმის წინააღმდეგ თვით ესერების ორგანოსაც არაფერი საბუთი არ წამოუყენებია. ეს პლატფორმა მის თვალშიაც რევოლიუციური და დემოკრატიული პლატფორმაა. ამ მხრივ არავითარ დათმობას და კომპრომისს არ ჰქონია ადგილი.

გვეტყვიან ამ შემთხვევაში კარგ პროგრამას არა შესაფერი ამსრულებელი დაურჩებაო. ჩვენ ამაზე არ ვხუჭავთ თვალებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, დემოკრატიას გმირული მუშაობა დასჭირდება, რომ მთავრობაში შესულ ყველა ელემენტებს ერთნაირათ აკეთებინოს ის საქმე, რომელიც მათ დაივალეს.

მაგრამ განა ჩვენ კი არ გვესიამოვნებოდა უკეთესი ამსრულებლების ყოლა?

აბა გვიჩვენოს „ზნამია ტრუდამ" კონკრეტიულათ ჩვენ—სეიმის შიგნი, გინდ მის გარეშე ისეთი ძალები, რომლებზედაც შეიძლებოდეს დაყრდნობა ერთფეროვანი სამინისტროს შესადგენათ. დაგვისახელოს ის პარტიები და ჯგუფები, რომლებთანაც ერთათ ჩვენ უმრავლესობა გვეყოლებოდა? ჩვენ სამწუხაროთ ასეთ ძალებს ვერ ვხედავთ. ხოლო არც „ზნამია ტრუდას" შეუძლია მათი დასახელება. რაღათ თხოულობს ჩვენგან ისეთ რამეს, რის განხორციელებისათვის საშუალებებზე ვერ მიგვითითებს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს „ზნამია ტრუდას" უპასუხისმგებლობის გრძნობით მოსდის. იგი ოპოზიციონერობის როლს ებღაუჭება და ამისთვის მზათაა ყოველ საბუთსა და უსაბუთობას ჩაებღაუჭოს. არა მგონია ასეთმა პოზიციამ რაიმე შესძინოს თვით ესერების პარტიას. ხოლო დემოკრატიას, რომელსაც ეს პარტია ემსახურება, მხოლოდ ზარალს მოუტანს, რადგან მის ისედაც მცირე ძალთა გათიშვას გამოიწვევს. კრიტიკას და ოპოზიციონერობას ჩვენ არ უარვყოფთ, მაგრამ ერთგვარი პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც მოეთხოვება. იგიც უნდა დემოკრატიულ ფრთის გაძლიერებას ემსახურებოდეს და არა მის დასუსტებას, როგორც ეს ბალშევიკების ავანტიურისტებს სჩვევიათ. ესერები კი, სამწუხაროთ, ამ ბოლო დროს ამ მხრით სწორეთ ბალშევიკების ტაქტიკას ითვისებენ.

მაგრამ დემოკრატია, რომელმაც გარიყა ბალშევიკები, მათაც ასეთ შედეგებს მოუმზადებს.

## პ რ ე ს ა

ამ საერთო არევ-დარევის დროს ერთობ გახშირდა არევ-დარევა ტერმინოლოგიაში. აი, მაგალითად ქართველი ფედერალისტები „სარევოლიუციო" და „სოციალისტურ" პარტიის სახელწოდებით გამოდიან და ყოველ ფეხის გადადგმაზე ებრძვიან როგორც სოციალიზმს, ისე რევოლიუციონურ ორგანიზაციებს. რამდენიმე დღის უკან „ვოზროჟდენიე"-ში ვიღაც რეაქციონერი კვეხულობდა მენშევიკებზე უფრო. მეტ თავისუფლებას მე ვაძლევ გლეხებსო. დღეს „სახალხო საქმე" განცვიფრებით კითხულობს:

„განა გარეშე სოც.-ფედერალისტებისა, ესერებისა და ბალშევიკებისა კიდევ სხვა რევოლიუციონური ორგანიზაცია არის? რომელია, სთქვას „ერთობამ".

მოვახსენებთ „სახალხო საქმეს": ქუთაისში რევოლიუციონური ორგანიზაციებია მუშათა და გლეხთა საბჭოები, რომელნიც სოც.-დემ. მენშევიკების პოლიტიკას მისდევენ. და თუ ფედერალისტებმა ეს არ იციან, ამ არ ცოდნის მიზეზი კითხონ „საქართველოს" და „ვოზროჟდენიეს"-ს, ან და გადაიკითხონ „სახალხო საქმის" ძველი ნომრები, სადაც ნათქვამია: მუშათა საბჭოებში თფილ ადგილების მაძიებელი ხალხი ზისო. ახლა ვეკითხებით „სახალხო საქმეს": რა სახელი უნდა ვუწოდოთ იმ პარტიას, რომელიც პურიშკევიჩის თვალსაზრისზე დგას და ბალშევიკებთან ერთათ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს რევოლიუციონურ ორგანიზაციებათ არ თვლის?

* *
*

„საქართველო" თავისებურად იხდი ბოდიშს იმ მოწოდების გამო, რომლითაც მან ხალხს მიმართა: ჩვენ მთავრობას მოუწოდებთ, „რომ მან გაითვალისწინოს თავისი მოღვაწეობა და რეფორმები მოახდინოს კანონიერის გზით ან და შეიგნოს თავისი უძლურება და ყოველივე ეს ხალხს მიანდოს"-ო.

რას ნიშნავს ეს? საქართველო"-ს ისე მოსდის, როგორც ერთ არაკის გმირს: როგორ შეიძლება ჭკვიანმა ადამიანმა მთავრობას ურჩიოს: შეიგენი შენი უძლურება და ხალხს მიანდევი ყველაფერიო. ერთიც ვნახოთ გამოჩნდა ისეთი ხეპრე მთავრობა, რომელმაც „საქართველო"-ს აღნიშნული ბრძნული რჩევა-დარიგება მიიღო. მერე ამას განა საშინელი ანარქია არ მოყვება.

სჯობია „საქართველომ" თითონ ისწავლოს ჭკუა, სანამ სხვების დარიგებას შეუდგებოდეს.

* *
*

ეტყობა ბალშევიკები ვერასოდეს ვერ ისწავლიან ჭკუას. იმათ გაზეთში „კავკაზსკაია პრავდა"-ში (№ 2) მოთავსებულია ბალშევიკურ კავკასიის საოლქო კომიტეტის რეზოლიუცია, მომენტის შესახებ, რომელშიაც, სხვათა შორის ნათქვამია:

„გერმანიის იმპერიალიზმთან სრულის თანხმობით და მისი მორჩილების ქვეშ გამოდის ოსმალეთის მჭლე იმპერიალიზმი... ოსმალეთის მტაცებლები — ფაშები არა მარტო დაინტერესებული არიან იმით, რომ ამიერ-კავკასიაში გაიმარჯვოს ბეგების კონტრ-რევოლიუციამ, რომელსაც მხარს უჭერენ ნაციონალისტური პარტიები და მენშევიკები, არამედ იმითაც, რომ შეაჩერონ სოციალისტურ-რევოლიუციონური რევოლიუცია კავკასიაში და რუსეთის პროლეტარულ - გლეხური რესპუბლიკა მოსპონ".

ოსმალეთის ფაშებს და აქაურ ბეგებს რომ რევოლიუციის მოსპობა სურთ, ეს ცხადია. დავუჯეროთ ერთი წუთით ბალშევიკებს, რომ მენშევიკები ცდილობენ ბეგების გამარჯვებას და სოციალისტურ-რევოლიუციონურ მოძრაობის დამარცხებას ამიერ-კავკასიაში. რას ფიქრობენ თითონ ბალშევიკები? იქნებ ბალშევიკები გვიჩვენებენ მენშევიკებზე უკეთეს ბრძოლის საშუალებას? აი დაუგდოთ ყური:

„საოლქო კომიტეტი საჭიროთ თვლის 1) თავგამოდებით დავიცოთ სოციალისტური რევოლიუცია, საბჭოთა მთავრობა და სახალხო კომისართა საბჭო, იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ მთელი ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. 2) ეს ბრძოლა ვაწარმოვოთ სოციალიზმის დროშის ქვეშ, **სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოთ ზოგიერთ პარტიების მიერ წამოყენებულ ლოზუნგს ბათუმის, ყარსის და არდაგანის დაპყრობის შესახებ**, როგორც კავკასიის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ სურვილების გამოხატულებასთან".

ასე ფიქრობენ ბალშევიკები იმპერიალიზმთან ბრძოლას სოციალიზმის დროშის ქვეშ. ადგილობრივი კანონიერ მთავრობის უარყოფა და ლენინ-ტროცკის მთავრობისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლა იარაღით ხელში —ეს არის თურმე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ბათუმ-ყარს-არდაგანისთვის ბრძოლა თურმე ბურჟუაზიის სურვილების გამოხატულება ყოფილა. მიაქციეთ ყურადღება:

„ბათუმ-ყარს-არდაგანის უკან დასაბრუნებლათ ბრძოლა".

ესე იგი ბათუმი-ყარსი და არდაგანი ოსმალეთის კუთვნილებათ არის გამოცხადებული. ასე საერთო ენით ლაპარაკობენ ბალშევიკების საოლქო კომიტეტი და ოსმალეთის ფაშების დელეგაცია ტრაპიზონში. ოსმალეთის სასარგებლოთ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ღალატს ბალშევიკები ფაშებთან ბრძოლის სახელით ასაღებენ.

აი სადამდის შეიძლება მივიდეს მოღალატის თავხედობა და უსირცხვილობა.

# ამიერ-კავკასიის გლეხებო!
(სეიმის მოწოდება)

7 მარტს ამიერ-კავკასიის სეიმმა გამოსცა ახალი საადგილ-მამულო კანონი, რომლითაც კერძო საკუთრება მიწები უფასოთ გადადის სახალხო საკუთრებათ.

იმ მემამულეებს, რომლებიც დღემდე ფლობდენ ათი ათასობით დესეტინა მიწებს, დაეტოვება იმდენი მიწა, რამდენიც შეუძლია თითოეულ მათგანს დაამუშავოს საკუთარი შრომით და ხელით.

ასე აღსრულდა ამიერ-კავკასიის გლეხობის დიდი ხნის სურვილი განურჩევლად ეროვნებისა.

ჩვენ, თქვენმა წარმომადგენლებმა, მივანდეთ ამიერ-კავკასიის მთავრობას გაატაროს ცხოვრებაში ეს საადგილ მამულო კანონი და დააწესოს ჩვენს მხარეში მიწის საკითხის საუკეთესო წესები.

ყველას, ვისთვისაც ძვირფასია გლეხთა განთავისუფლება მონობისაგან და მისი მიწით უზრუნველყოფა, უნდა დაეხმაროს მთავრობას ამ საძნელო საქმეში. ამ საქმეს კი დიდი საშიშროება, სიძნელე უდგას წინ.

ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ძველი წესწყობილება და მემამულეთა ინტრესები, ადვილათ არ შეურიგდებიან ისეთ საადგილ-მამულო კანონს, რომლითაც მემამულეების უფლებანი ღარიბ-ღატაკებზე გაუქმებულია. მაგრამ აშკარათ, სეიმის მიერ ერთხმათ მიღებული კანონის წინააღმდეგ, ისინი არ გამოვლენ. აშკარათ ისინი თქვენ არ გაგაგებიებს თავიანთ განზრახვებს. ისინი შეეცდებიან დაანგრიონ საადგილ-მამულო კანონი, დაიწყებენ რა ჩვენს მხარეში შფოთის, ანარქიისა და სხვადასხვა ტომთა შორის შუღლის თესვას. ამ გზით ისინი ჭეშმარიტად მიაღწევენ მიზანს, ჩამოართმევენ გლეხებს მიწებს, რომელიც მათ რევოლიუციამ გადასცა.

რუსეთში ჩვენს თვალწინ ანარქიის მორევში და არევ-დარევაში ილუპება რევოლიუციის მოპოვებანი. ილუპება რუსეთის გლეხობის იმედი მიწების მიღების შესახებ.

უკეთუ ანარქია მოედება ამიერ-კავკასიას, მაშინ ჩვენშიაც დასამარდება რევოლიუცია და ჩვენი გლეხობაც უნდა გამოემშვიდობოს იმ მონაპოვართ, რომელიც მათ რევოლიუციამ მიანიჭა, უპირველესად კი, მემამულეების გასახარებლად გლეხებს ჩამოერთმევა მიწები, ის მიწები, რომლებიც მეფეების დროს ამ მემამულეებს ეკუთვნოდა.

რომ ისარგებლოთ რევოლიუციის მონაპოვარით, რომელმაც მოგცათ თქვენ მიწა, თქვენთვის საჭიროა მტკიცე ზავი ყველა მეზობელ სახელმწიფოებთან. ამიტომ ამიერ-კავკასიის სეიმი და მთავრობა ყოველივე ძალღონით ცდილობენ დაუყონებლივ იქნას ომი შეწყვეტილი, რომელიც მეოთხე წელიწადია ანადგურებს ჩვენს ქვეყანას.

მაგრამ ზავისადმი მისწრაფების დროს სეიმს და მთავრობას არ შეუძლიათ დასთანხმდენ ისეთ პირობებზე, რომლებიც მიიყვანენ ქვეყანას გალატაკებამდე, დამცირებამდე და დაღუპვამდე და არ მისცემენ მიწას ამიერ-კავკასიის გლეხებს. ეს კი მოგველის ჩვენ. თუ დაირღვა ჩვენი ქვეყნის მთლიანობა და მისი ნაწილი ხელში ჩაიგდო მტერმა, ვინაიდან დამპყრობი არასოდეს არ დაუშვებს, რომ დაპყრობილ ქვეყანაში მიწა დარჩეს თავისუფალი, თავისუფალ გლეხობის ხელში. ამიტომ სეიმი და მთავრობა, მიისწრაფიან რა მტკიცე ზავისაკენ, იმავე დროს მზათ არიან იარაღით დაიცვან ამიერ-კავკასიის საზღვრები და არავითარ მსხვერპლს არ მოერიდებიან, თუ მოწინააღმდეგე არ მიიღებს ისეთ ზავს, რომელიც უზრუნველ ყოფს ამიერ კავკასიის ყველა ერების თავისუფლებას და გლეხებს მიწას დაუტოვებს.

ანარქია და გარეშე მტრის შემოსევა—აი ის ორი საფრთხე, რომელიც თქვენ მოგელის, ამიერ-კავკასიის გლეხებო!

ამიერ-კავკასიის გლეხებო,—ქართველებო, სომხებო, მუსულმანებო! თქვენ, რომელთაც რევოლიუციის წყალობით მიწა მიიღეთ, ყველას ერთი საზრუნავი საქმე უნდა გქონდეთ!

გააერთიანეთ ყველა თქვენი ძალები მოპოვებული მიწების შესანარჩუნებლათ.

მხარი დაუჭირეთ სეიმს და მთავრობას რევოლიუციის მტრებთან ბრძოლაში, მათ მუშაობას, რომ ჩვენს მხარეში წესრიგი იქნას დაცული, და ამიერ-კავკასიის დაცვის საქმეში გარეშე მტრის შემოსევისაგან,—მაშინ მიწებიც სამუდამოთ თქვენს ხელში დარჩება.

# ამიერ-კავკასიის მთავრობის დეკლარაცია

ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომაზე 13 მარტს მინისტრ-თავმჯდომარე ევ. გეგეჭკორმა შემდეგი დეკლარაცია წაიკითხა:

„მოქალაქენო—სეიმის წევრნო! თქვენ მე მომანდვეთ ახალი კაბინეთის შედგენა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სეიმის წინაშე. შევასრულე რა თქვენი დავალება, პატივი მაქვს ახლათ არჩეულ მთავრობის სახელით გაგაცნოთ ყველა ის დებულებები, რომლებითაც იხელმძღვანელებს ამიერ-კავკასიის მთავრობა თავის მოქმედების დროს.

საზოგადო მოქმედების მიზანი თქვენ უკვე აღუნიშნეთ მთავრობას თქვენი დადგენილებებით.

ერთ ამ უმთავრეს მიზნათ მთავრობა სთვლის ოსმალეთთან მკვიდრი ზავის შეკვრას და კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულების დამყარებას. ამიერ-კავკასიის ერები სცნობენ მხოლოდ ორივე მხრისთვის საპატიო ზავს და მთავრობაც სხვა გვარ ზავის პირობებს არ წარმოგიდგენთ თქვენ, სეიმის წევრნო, ხელის მოსაწერათ.

მთავრობა აღიარებს, რომ სეიმის მიერ შემუშავებულ ზავის შეკვრა ამიერ-კავკასიის ერთაგან დიდ ძალის მოკრებას და დიდ ახალ მსხვერპლს მოითხოვს, რადგან საპატიო ზავის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ ხალხს, რომელიც მზათ არის იარაღით ხელში პასუხი გასცეს მოსულ მტერს, რომელსაც უნდა შეეხოს მის ტერიტორიას და ცხოვრების ინტერესებს.

როცა მთავრობა დაყრდნობილი იქნება ხალხის გადაწყვეტილებაზე უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცოს თავის დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ის ყოველივე ღონეს იხმარს მედგარი პასუხი გასცეს ყველას, ვინც ამიერ-კავკასიის ერთა ღირსება-პატიოსნებას შეეხება.

მთავრობის მეორე მიზანია ამიერ-კავკასიის ყველა ერთათვის განამტკიცოს ყოველივე ის, რაც რევოლიუციამ მოიპოვა.

უნდა ძირიანათ აღმოიფხვრას ფეოდალური ურთიერთობის ყოველივე ნაშთი, რომელიც ჰბოჭავს ამიერ-კავკასიის ერთა განვითარებას. ამიტომ მთავრობა ყოველივე საშუალებას იხმარს სეიმის მიერ გამოცემული კანონი ყველა მიწების უფასოთ მშრომელ ხალხზე გადაცემის შესახებ, რაც შეიძლება დაჩქარებით და უნაკლულოთ გატარებულ იქნას ცხოვრებაში.

ამასთან უნდა გაუმჯობესებულ იქნას პროლეტარიატის მდგომარეობა და შექმნან შრომისა და კაპიტალს შორის ბრძოლის ახალი უფლებრივი ფორმები. მთავრობა ეცდება შრომის ყოველ მხრივ დაცვას, კერძოთ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, შრომის ფასის მინიმუმის დაწესებას და ფართო სოციალურ დაზღვევის შემოღებას, ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვა და მშობიარეთა მფარველობა.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ აგრარულ საკითხის გადაჭრით და შრომის პირობების გაუმჯობესებით რევოლიუციის განმტკიცება, ამავე დროს საუკეთესო საშუალება იქნება ანარქიის ასალაგმავათ და მთელ მხარეში სამეურნეო ცხოვრების ასაყვავებლათ.

მესამე მიზანი არის მართვა-გამგეობის აპარატის გაუმჯობესება.

უპირველეს ყოვლისა მთავრობა შეუდგება გაამარტივოს და გააიაფოს მართვა-გამგეობა ძველი დაწესებულებების გაუქმებით და მოსამსახურეთა შტატების შემცირებით, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

შემდეგ მთავრობა წარმოუდგენს სეიმს განსახილველათ სხვადასხვა ზომებს, რომლებიც მისცემენ სახელმწიფოს საჭირო საშულებას.

მთავრობა დაუყენებს სეიმს საკითხებს: იმ საშუალების შესახებ, რომლითაც კერძო პირთა ხელში მოგროვილი ფულები ხაზინაში შევიდეს, სახელმწიფოს ხელში იყოს მთელი დაზოგილი ოქრო და ვერცხლი, რომ შესაძლო იქნეს შევქმნათ საკუთარი რეალური ფულის სისტემის საფუძველი. რომ მასსიურ სახმარ საგნებზე სახელმწიფო მონოპოლია იქნეს დაწესებული, როგორც მაგალითად: პურზე, ნავთზე და სხვა. მოხდეს ზოგიერთ დარგების ნაციონალიზაცია. დაწესდეს ბანკებზე სახელმწიფო კონტროლი. ძალდატანებით მათ გაერთიანების გზით, ყველა ტარიფების და გადასახადების სისტემის გადასინჯვა და მათი გადიდება ღარიბთა ინტერესების მიხედვით.

მაგრამ ყველა ამ ზომების განხორციელება მხოლოდ მაშინ მოგვცემს სასურველ ნაყოფს და საშუალებას მისცემს მთავრობას გაამართლოს ამიერ-კავკასიის ერთა მოლოდინი, უკეთუ ეს მთავრობა მართლა მთავრობა იქნება, თუ მის ხელში იქნება რეალური ძალა, რომ ყველა ბოროტ გამოსვლებს შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს. ისეთ გამოსვლების დროს, როცა რევოლიუციას და მთელი მხრის დემოკრატიას დაღუპვა მოელის, მთავრობა არაფრის წინ არ დაიხევს. და რომ მთავრობამ შეიძლოს ასეთი ბრძოლის გაწევა, მას უნდა შეიარაღებულ ძალის ყოველი საშუალება ჰქონდეს.

რეალური ძალის შექმნა, რომელიც სეიმის პირით მთელი ამიერ-კავკასიის საერთო ნებას დარაჯათ დაუდგება, მთავრობის მეოთხე მიზანს შეადგენს.

ამ მიზნის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი ქვეყნის შეიარაღებული ძალა, რომელიც ეხლა დაქსაქსულია სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებში და სხვა ორგანიზაციებში, პირდაპირ დაემორჩილება მთავრობას, რომელიც ყველა ერთა მიერ აღიარებულია და რომლის ხელშიაც არის მთელი აღმასრულებელი ძალა.

ამ ზომას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მთავრობა, რადგან თუ ის არ იქნა განხორციელებული, ისე შეუძლებელი იქნება უზრუნველყოთ მთელი ქვეყანა გარეშე საფრთხიდან, ავლაგმოთ დამღუპველი ანარქია და ჩამოვაგდოთ მტკიცე ზავი. ამ ზომის განხორციელებას წინ ეღობება ამ უკანასკნელ დროს გამწვავებული ეროვნული შუღლი და მტრობა. ეს ეროვნული მტრობა სულს უდგამს ანარქიას, თავდაცვის საშუალებას უსპობს ქვეყანას, მთელ ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალებს ძირს უთხრის და დაღუპვას უქადის ყველა იმას, რაც ამიერ-კავკასიის ხალხს მისცა რევოლიუციამ. ამიტომ ამიერ-კავკასიის მთავრობა, შეიყვანა რა თვის შემადგენლობაში ყველა ეროვნებათა წარმომადგენელნი, ყოველივე ღონეს იხმარს, რომ გაუადვილოს სეიმს ეროვნული კითხვის გადაწყვეტა ყველა ეროვნებათა უფლებრივ თანასწორობის ნიადაგზე.

ამავე მიზნით მთავრობა ეცდება ეროვნებათა ტერიტორიალურ გადამიჯვნას და ნაციონალურ-ტერიტორიალურ კანტონების დაარსებას, სრულ შინაურ თვითმართველობით და მცირე ერთა უფლებების უზრუნველყოფით.

ყველა ჩვენგანი ხედავს რა ლახვრი ჩასცა ანარქიამ რუსეთის რევოლიუციას, ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატიას დაღუპვა და მონობა მოელის, უკეთუ სახელმწიფოებრივმა გონებამ და პასუხისმგებლობის გრძნობამ არ დაიცო მისი ფრონტის მთლიანობა გარეშე და შინაურ მტრებისაგან. დეე ეს ბედი ასცდეს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას.

სრული დარწმუნებული, რომ ამ ჩვენ პროგრამას, რომლითაც, ვიცავთ დემოკრატიის ფრონტის მთლიანობას და უზრუნველ ვყოფთ რევოლიუციის განმტკიცებას, თქვენ ყველა პარტიის და ყველა ერთა წარმომადგენლები ენერგიულათ მხარს დაუჭერთ და შეძლებას მოგვცემთ მის განსახორციელებლათ. მთავრობა მთელ თავის ძალ-ღონეს მოიკრეფს და იმედი აქვს, რომ ის შესძლებს აღელვარებულ ზღვიდან მიიყვანოს თავის გემი მშრომელთა ძმობის სასურველ ნავთსადგურთან.

# კავკასიის ფრონტი
13 მარტი.

სარაყამიშის მიმართულებით ოსმალთა ჯარებმა დაიკავეს სოფლები ზიაკი და მეჯინგერტი.

დანარჩენი ადგილებიდან ცნობა არ მოსულა.

# ამიერ-კავკასიის ამბები

პირდაპირი მავთულით სად. სადახლოდან შემდეგს იტყობინებიან:

„მდგომარეობა გაუმჯობესდა, შუადღიდან ჩვენთან სხვადასხვა მხრიდან მოვიდენ თათრების დელეგაციები და აღგვითქვეს ჩვენი მოთხოვნების შესრულება.

დღევანდლამდე ჩაგვაბარეს 28 ტყვიის მფრქვეველი, დანარჩენსაც ხვალ დილით მოიტანენ. საღამოს 6 საათზე გოგუაძის ჯავშნიანი მატარებელი მოვიდა, მის მოსვლამდე სადგურ სანოტიდან მოვიდენ წარმომადგენლები. მათ მოსდევდათ სომხების ჯარი და გლეხობა.

სამწუხაროთ სომხის ჯარი ცეცხლს უჩენდა სოფლებს და ანადგურებდა. შტაბის სახელით წინადადება მივეცით ხელი აეღოთ სოფლების განადგურებაზე, რაზედაც დაგვეთანხმდენ.

თათრები ძლიერ შეშინებულები არიან. მცხოვრებნი გარბიან.

ჩვენ ყოველ საშუალებას ვხმარობდით მშვიდობიანი მცხოვრებნი არ დაზარალებულიყვენ, ამიტომ ზარბაზნები მხოლოდ თხრილებს დავუშინეთ, სადაც თათრების ბრბო იყო ჩასაფრებული. მათ საშველათ მოდიოდენ ქვეითი და ცხენოსნები მთელი მაზრიდან. სროლა დღეს შესწყდა. ეხლა სიწყნარეა. როცა ყველა ჩვენი მოთხოვნები დააკმაყოფილეს, გავმართეთ მიტინგები. სომხის ჯარის ნაწილებს წინადადება მივეცით უკან დაეხიათ.

მოგვიკლეს ორი და დაგვიჭრეს 15 კაცი. მოკლულია დეპოს მუშა კანდელაკი, და კარლინსკის საპნის ქარხნის ერთი მუშა. თავში დაჭრილია ჭანტურიშვილი (ადგ. კომ. რაზმიდან), მსუბუქად დაიჭრა კარაევი და სხვები. მსუბუქად გაიკაწრა ნესტორ კალანდაძე, რომელიც ჯავშნიან მატარებელში იყო. ხიდები შევაკეთეთ. ყოველივე ზომებს მივიღებთ მეთაურების დასაჭერათ, რომელთა რიცხვი ერთობ დიდია.

**ბორჯომ-აწყურის ამბები.** ზოგიერთ გაზეთების უკანასკნელ ცნობებით ბორჯომ-აწყურ შორის ბრძოლა უკვე დაწყებული არის. ეს ცნობები ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. მართალია, ადგილი ქონდა სერიოზულ ექცესებს, მაგრამ იმედია, რომ ის მშვიდობიანათ დასრულდება. საქმე შემდეგში იყო: 6 მარტს ბორჯომით 50-მდე შეიარაღებული სომხის ჯარისკაცები მიემგზავრებოდენ ახალციხეში. ს. აწყურში მათ დახვდენ ადგილობრივი მუსულმანები და მოსთხოვეს იარაღის დაყრა. ჯარისკაცები ამ მოთხოვნილებას წინააღუდგენ, რასაც მოყვა ორთავე მხრით სროლა. სროლის დროს აღმოჩნდა 8 მოკლული და 4 დაჭრილი ჯარისკაცი. ამ ამბავმა გამოიწვია, როგორც ახალციხეში, ისე ბორჯომში დიდი მღელვარება. შეიარაღდენ როგორც მუსულმანების, ისე ქართველების სოფლელები და მოემზადენ საომრათ. მუსულმანები გამაგრდენ ს. აწყურში, ქართველები—ს. დვირში. ბორჯომის ადმ. კომიტეტმა გამოიწვია გორის, ხაშურის და ყვირილის წითელ გვარდიელები და ისინი რიცხვით 800-მდე კაცი დაბანაკდენ დვირში. თფილისიდან ჩამოვიდა არდაგან-ახალციხის ჯარების მთავარ-სარდალი გენერალი არჯევანიძე, რომელმაც უმალ გამართა მუსულმანებთან სამშვიდობო მოლაპარაკება. მან წარუდგინა დელეგაციის საშუალებით მოთხოვნილებანი, რომელსაც მუსულმანები თანდათან აკმაყოფილებენ. სხვათა შორის ისინი დათანხმდენ აწყურში, აბასთუმანში და სხვა ღირსშესანიშნავ პუნქტებში ჩვენი ჯარის ჩაყენებას.

9 ამ თვეს ყვირილის წით. გვარდია გაემგზავრა ახალციხეში, რომელიც მშვიდობიანათ შევიდა ქალაქში. დანარჩენი ნაწილებიც თორმეტში წავლენ. ასე რომ იმედია სერიოზულ გამოსვლებს ადგილი არ ექნება, მაგრამ სამაგიეროდ, პროვოკატორული გამოსვლები კი ხშირია, როგორც მუსულმანებში, ისე სომხებში და ქართველებში, რაიც ნერვებს უშლის მშვიდობიან მცხოვრებთ. საჭიროა ასეთ პროვოკატორების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება. 11 ამ თვეს ბორჯომში მოხდა ადგილობრივი ვაჭრების და მოქალაქეთა კრება, რომელზედაც დაადგინეს: საომარ საჭიროებათა ხარჯებისათვის ნივთიერი დახმარება. აირჩიეს 9 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა მოქალაქეებზე შემოსავლის კვალობაზე ფულის გაწერა და შეკრება. ხაზინადრად ერთხმად აირჩიეს ზ. კიკნაძე.

**ნოდე.**

# ამიერ-კავკასიის სეიმი
(13 მარტის სხდომა).

თავმჯდომარეობს **კ. ჩხეიძე.**

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე **ევგენი გეგეჭკორი** აცნობს დამსწრეთ ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციის პირველ 5 სხდომის ანგარიშს *).

როგორც სჩანს—ამბობს ე. გეგეჭკორი—სამშვიდობო მოლაპარაკება ჩიხში მისულა. დელეგაციას არ შეეძლო გადაეხვია დირექტივებისათვის. საჭიროა მოხდეს დელეგაციის რეორგანიზაცია, იგი ძალზე მრავალრიცხოვანია. მთავრობას საჭიროთ მიაჩნია მისცეს უფლება დელეგაციის თავმჯდომარეს აწარმოვოს მოლაპარაკება თავისუფლათ. ამაშია მხოლოდ ჩიხიდან გამოსავალი საშუალება.

**ნოე რამიშვილი.** ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაზე აშკარათ გამოირკვა ორი ხაზი, ერთია ხაზი ჩვენი დელეგაციისა, რომელიც მტკიცეთ იდგა სეიმის მიერ მიცემულ დირექტივებს, მეორე ხაზია ოსმალეთის დელეგაციის, რომელიც დგას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე. ამიერ-კავკასიის სეიმმა უარჰყო და შემდეგშიაც უარჰყოფს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიას. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ამ ხელშეკრულებას ჩვენთვის სავალდებულო ძალა არა აქვსო. ამიერ-კავკასიის მთავრობა ფაქტიურათ დამოუკიდებელი იყო სახალხო კომისართა საბჭოდან. ამას ოსმალეთიც სცნობდა. მის მთავრობამ მიმართა ამიერ-კავკასიის მთავრობას, როგორც დამოუკიდებელს. რა შეიცვალა ამის შემდეგ? ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ჩვენ მოვიწვიეთ სეიმი. ფაქტიურათ ჩვენ დამოუკიდებელი ვართ. ეს განაცხადა კიდეც აკ. ჩხენკელმა. ამის შემდეგ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ორი აზრი იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას არ შეუძლია სავალდებულოთ მიიღოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. მაგრამ წამოაყენეს საკითხი დამოუკიდებლობისათვის შესაფერი ფორმის მიცემის შესახებ. ეს გულისხმობს უცხო სახელმწიფოთა, კერძოთ ოთხთა შეთანხმების თანხმობას. სამშვიდობო მოლაპარაკების დღევანდელ მდგომარეობის დროს დამოუკიდებლობის გამოცხადება იქნებოდა ოსმალეთის მთავრობისადმი განსაზღვრული მოთხოვნილების წაყენება, ვინაიდან დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის საზღვრებში უნდა მოჰყვეს ყარსისა და ბათუმის ოლქებიც. ეს კი ოსმალეთის მთავრობას არ უნდა. თუ ოსმალეთს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ბუფერი, მან ხელი უნდა აიღოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე. ჩვენ მივისწრაფით საპატიო ზავისაკენ. ეს გარემოება გვიკარნახებს ჩვენი სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი აღვჭურვოთ საგანგებო უფლებებით, რომლებითაც სარგებლობს ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე. მას უნდა მიეცეს დათმობის და ახალი საკითხების წამოყენების ნება, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ჩვენი ინტერესების წინააღმდეგი. მხოლოდ ყოველივე გადაწყვეტილებამ დასტური უნდა მიიღოს სეიმისაგან. და სრულებითაც არ მოითხოვს ოსმალეთის ინტერესები ჩვენს ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნას, რომ ჩვენ მოვუწოდოთ ყველა ძალებს მეორე მონობის თავიდან ასაშორებლათ. ჩვენ არ დავუთმობთ; ამას ამტკიცებს მთელი ჩვენი ისტორია და ამის თავდებია ის სულიერი განწყობილება, რომელიც არსებობს ჩვენს პროვინციებში და მობილიზაციის კარგათ ჩატარება. დასასრულ ორატორს საზავო კომისიის სახელით შემოაქვს წინადადება აღჭურვოს სეიმმა სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი საგანგებო უფლებებით და მიეცეს მას ნება გადასდგას დამოუკიდებელი ნაბიჯები საპატიო ზავის ჩამოსაგდებათ.

წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული.

**ლორთქიფანიძე** (ს.-რ.) აყენებს კითხვას ლეჩხუმში მომხდარ ამბების გამო და ამბობს, ჩვენი ფრაქცია ყოველთვის ებრძოდა და შეებრძოლება ანარქიას და ამ მხრით ყოვეგვარ დახმარებას აღმოუჩენს მთავრობას. მაგრამ მთავრობის განკარგულებები არ უნდა იყოს მიმართული მცხოვრებთა უმრავლესობის წინააღმდეგ. ასეთი იყო განკარგულება ქუთაისის გუბერნიის კომისარის კაჩუხაშვილისა. დღესაც არავინ იცის, რა ხდება ლეჩხუმის მაზრაში. ამიტომ ადმინისტრაციას ჯერ უნდა გაეკეთებია ის, რასაც სამი პარტიის წარმომადგენლები ურჩევდენ. ჯერ უნდა გამოერკვიათ საქმე და მერე გაეგზავნათ რაზმი. მაგრამ მენშევიკები არ შევიდენ სამი პარტიის (ს.-რევოლიუციონერების, ს.-ფ. და ბოლშ.) წარმომადგენლთაგან შემდგარ კომისიაში. ჩვენ არა ვართ წინაამდეგი ანარქიის წინააღმდეგ იარაღის ხმარებისა, მაგრამ ჯერ უნდა გამოირკვეს საქმე. კაჩუხაშვილის ბრძანება სრულებით არ არის დემოკრატიული. ორატორი კითხულობს ბრძანებას, არჩევს მას და ეკითხება მთავრობას, იცის თუ არა მან ეს და თუ იცის, რა ზომები მიიღო ქუთაისის ადმინისტრაციის ასეთ მოქმედების წინააღმდეგ.

ლორთქიფანიძეს უპასუხებს **გრ. გიორგაძე.** ტყვილა არ უთქვამს ლორთქიფანიძეს—ამბობს ორატორი—რომ ჩვენი პარტია ყოველთვის ებრძოდა ანარქიასო. ეს მეტათ საინტერესო განცხადებაა, ვინაიდან ს.-რ-ების პარტიის ქუთაისის ორგანიზაცია წინაამდეგია ანარქიასთან ბრძოლისა. იცის თუ არა სეიმმა და ლორთქიფანიძემ, რომ ს.-რევოლიუციონერების პარტიის ქუთაისის ორგანიზაცია წინააღმდეგია მობილიზაციისა, წინაამდეგია მიწის კანონისა, მას შეაქვს დეზორგანიზაცია საკუთარ პარტიაში და მთელ გუბერნიაში. ისინი ბოლშევიკებთან ერთად მართავდენ კრებებს. ამიტომ დიდ ეჭვებს იწვევს ლორთქიფანიძის ცნობა. მან სთქვა, რომ ჯერ უნდა გამოგვერკვია ლეჩხუმის მაზრის მდგომარეობა და შემდეგ გაგვეგზავნა რაზმიო. მენშევიკებმა კარგათ იცოდენ, თუ რა მდგომარეობა იყო ლეჩხუმის მაზრაში. ჯერ კიდევ 1905 წ. ბნელმა ძალებმა იქ მოჰკლეს ჩვენი ამხანაგი შ. გელოვანი. მკვლელები დღესაც არხეინად დასეირნობენ იქ. და აი სწორეთ ამ კონტრ-რევოლიუციონერთა ჯგუფი გამოვიდა სამოქმედოთ დღეს. მათ ყველა იცნობს, მაგრამ რეაქციის გამო ისინი თავისუფლად დათარეშობდენ და როცა ლეჩხუმის ორგანიზაციებმა მოითხოვეს მათი სამართალში მიცემა, ისინი მიიმალენ და არალეგალურათ დაიწყეს ბრძოლა რევოლიუციონურ ორგანიზაციების და კერძოთ ლ. დადიშქელიანის წინააღმდეგ, ეს ჩვენ ვიცოდით. კონტრ-რევოლიუციონერებმა ისარგებლეს ჩამოსულ ჯარისკაცებით, გაამეფეს მაზრაში ტერორი, დაატყვევეს კომისარი, მოსპეს ფოსტა-ტელეგრაფით დამოკიდებულება ქუთაისთან, გარეკეს რევოლიუციონური ორგანიზაციები. ამ გარემოებამ წამოაყენა საკითხი საჭირო ზომების მიღების შესახებ. მთელი ლეჩხუმის მაზრა მოწყვეტილი იყო ქუთაისის გუბერნიას. ამას სწერენ მათი გაზეთებიც (აქ ორატორი ასახელებს „საქართველო“-ში მოთავსებულ კორესპონდენციას და მეთაურს და მიუთითებს ამ ორ წერილთა შორის წინააღმდეგობაზე, რაც უკვე იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში). ჰქონდა თუ არა გუბერნიის ადმინისტრაციას უფლება მიეღო ზომები კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ? ლორთქიფანიძემ სთქვა, კომისია მიდიოდა ლეჩხუმის მაზრაში საქმის გამოსარკვევათ, მაგრამ ამის ნება არ მისცესო. ეს არ არის მართალი. კომისია შესდგა რეპრესიული ზომების მიღების შემდეგ. ამ კომისიის წევრები მიდიან მობილიზაციის, მთავრობის, მიწის საკითხის წინააღმდეგ. ცხადია, მაზრაში მათი შეშვება არ შეიძლებოდა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. იყო კულტურული ხასიათის ზომებიც მიღებული. ამბობენ, რადგანაც მაზრა კანონს გარეშე გამოაცხადეს, შესაძლებელია ვინც გინდა იმის მოკვლაო. მაგრამ ეს ხომ ასე არ ყოფილა, ამ სახით ხომ არ ტარდებოდა ეს განკარგულება. საჭირო იყო მხოლოდ ზომების მიღება, რომ მაზრას მთავრობის ძალა-უფლება ეცნო. ამ ზომამ მიაღწია კიდეც მიზანს: ლეჩხუმის მაზრამ გამოგზავნა დელეგაცია და სიტყვა დასდვეს, რომ მოგვცემენ კონტრ-რევოლიუციონერებსა და პროვოკატორებს. ამასთანავე თფილისიდან წავიდენ რაჭა ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელი მუშები, 20-ამდე კაცი. ისინი მართავენ მიტინგებს და უხსნიან ხალხს საქმის ვითარებას. და ჩვენ გვეუბნებიან, ეს არ არის მიზან შეფერებული ზომაო და ემყარებიან უმთავრესათ განკარგულების ფორმას. რეპრესიული ზომები სხვადასხვა გვარათ უნდა გატარდეს სხვადასხვა ადგილებში. სეიმმა სთქვა ერევანისა და არდაგანის ამბების გამო, რომ საჭიროა მთავრობამ მიიღოს რეპრესიული ზომებიო. ცხადია, რეპრესიულ ზომებს შეიძლება მივმართოთ. ასე მოხდა ლეჩხუმის მაზრაში. თუ მაინც გვედავებიან, ეს სიტყვების წინააღმდეგ დავაა. ეს ზომები უნდა მოიწონოს სეიმმა, უნდა მოიწონოს აგრეთვე ის, რომ ლეჩხუმის მაზრაში არ შეუშვეს იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც არ ემორჩილებიან თავის ცენტრალურ ორგანიზაციას. ლორთქიფანიძის გამოსვლა კი კაჩუხაშვილის წინააღმდეგ ამტკიცებს, რომ აქ პირად ინტერესებს აქვს ადგილი და არა პრინციპიალურ ხასიათის მოსაზრებებს.

**ნოე რამიშვილი.** კაჩუხაშვილის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს მიიღებს მხედველობაში მთავრობა და ფრაქცია, მაგრამ სანამ არა გვაქვს შესაფერი ფაქტები—ასეთი ბრალდებები აიხსნება მხოლოდ კერძო ინტერესებით. როცა კაჩუხაშვილი გადადგა მილიციის უფროსის თანამდებობიდან, რ. ს.-დ. მ. პ. საოლქო კომიტეტმა და ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციამ ნდობა გამოუცხადა მას.

**ნ. ქარცივაძე** (შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარის ამხანაგი). მთავრობას არა აქვს ოფიციალური მოხსენება ქუთაისის გუბერნიის კომისარისაგან. ჩვენ ვაცნობეთ მას საჩქაროთ გამოგზავნოს ასეთი და როგორც კი მივიღებთ, მოგახსენებთ.

**ლორთქიფანიძე** მოითხოვს ახლო სხდომაზე დაისვას ეს საკითხი განსახილველათ. ჩვენ არ ვიზიარებთ ს.-რევოლიუციონერების პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის შეხედულებას მობილიზაციის და სხვა საკითხების შესახებ.

**ნოე ჟორდანია** მე წინააღმდეგი ვარ ამ კითხვის შეკითხვით შეცვლით. კითხვა გამორკვეულია. ლორთქიფანიძემ ვერაფერი ვერ სთქვა გიორგაძის წინააღმდეგ. და თუ თქვენ გინდათ ახლა მიიტანოთ შეკითხვა, ეს იმას ნიშნავს, რომ აღმოაჩინეთ ახალი ფაქტები, რომლებიც მოითხოვს მთავრობიდან ახსნას, განმარტებას და სხვ. მაგრამ ვინაიდან ასეთი ფაქტები არ არის, არის მხოლოდ ერთი ბრძანება, რომელსაც ჯერ არავითარი მავნე შედეგი არ მოუტანია. ამ ბრძანების გამო შეკითხვის შეტანა არ შეიძლება, ამიტომ საკითხი გარკვეულათ უნდა ჩაითვალოს.

**ი. გობეჩია** მოითხოვს, რომ შეკითხვა ძალაში დარჩეს.

**თავმჯდომარე** აცხადებს, აქამდის ლაპარაკი იყო კითხვის შესახებ; თუ სეიმი მოისურვებს, მივსცემთ მას შეკითხვის ხასიათსო. სეიმმა უარყო წინადადება მისცემოდა კითხვას შეკითხვის ხასიათი.

ამ საკითხის შესახებ მთავრობა ახლო მომავალში წარმოადგენს სრულ ახსნა-განმარტებას.

ამის შემდეგ ევგენი გეგეჭკორი აქვეყნებს ახალ მთავრობის წევრთა სიას და კითხულობს მთავრობის დეკლარაციას (ეს დეკლარაცია ცალკე იბეჭდება დღევანდელ ჩვენს გაზეთში).

ახალი მთავრობის შედგენის გამო მენშევიკების ფრაქციის სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ირაკლი წერეთელმა (ამ სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში ხვალ დაიბეჭდება).

**ი. სემიონოვი.** (კ.-დ.) როცა აქ ჩამოთვალეს ამიერ-კავკასიის ერები, არ უხსენებიათ რუსები. ჩვენ კი დიდი დახმარების გაწევა შეგვიძლია. ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველათ არ კმარა მარტო რეპრესიები ან რეფორმები. საჭიროა სახელმწიფოებრივი აპარატის მოწყობა. ამ მიზნით საჭირო მომუშავეებში ჩვენ ღრმათ გვაქვს ფესვები გადგმული და ჩვენ ამ მხრით დახმარებას აღმოუჩენთ მთავრობას. ჯარისთვის საჭიროა აფიცრობა. ჩვენ აფიცრებშიც დიდი გავლენა გვაქვს და ამ გავლენას გამოვიყენებთ მთავრობის დასახმარებლათ. საჭიროა დავივიწყოთ პარტიული უთანხმოებანი და საერთო ძალით დავეხმაროთ მთავრობას.

**არუტინიანცი** (დაშნ.) დაშნაკელთა ფრაქციამ დამავალა განვაცხადო, რომ იგი მთელი თავისი ფიზიკური და სუ-

*) ეს ანგარიშები ცალკე იბეჭდება ჩვენს გაზეთში.

ლიერი ძალით შეეცდება დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას და ხელი შეუწყოს მის დეკლარაციის ცხოვრებაში გატარებას.

ერთხმათ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება მთავრობის, რომელიც აერთებს ყველა სხვილ პარტიებსა და ერებს, ამიერ-კავკასიის სეიმი აღუთქვამს მას დახმარებას თავის დეკლარაციის ცხოვრებაში გატარების დროს და გადადის მორიგ საქმეებზე.

მენშევიკების ფრაქციამ შემოიტანა წინადადება მოწოდებით მიმართონ ამიერ-კავკასიის გლეხებს მიწის კანონის გამოცემის გამო. ფრაქციის სახელით ლაპარაკობს დ. ონიაშვილი. მიწის კანონის პრაქტიკულათ განხორციელებისათვის—ამბობს იგი—საჭიროა შეიქმნეს საჭირო პირობები; ასეთი პირობაა რევოლიუციონურ წესრიგის დაცვა. მაგრამ ჩვენამდე მოდის ცნობები ანარქიის შესახებ. მიწის კანონი შეეხო მიწის მფლობელებს. ყველა ხალხთა რეაქციონერები დაინტერესებულნი არიან დაარღვიონ დემოკრატიის ფრონტის მთლიანობა, მაგრამ არის მეორე საფრთხე—გარეშე მტრის შემოსევა. თუ მტერი ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრა, მიწის რეფორმების საქმეც დაიღუპება. ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ უნდა შეიგნოს ეს და დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარი. ამ მიზნით ს.-დ. ფრაქციამ შეიმუშავა მოწოდება. (კითხულობს).

სეიმმა ერთხმათ დაადგინა დაიბეჭდოს ეს მოწოდება ყველა ენებზე და გავრცელდეს. (მოწოდება იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

სხდომის დახურვის წინ თავმჯდომარე აცხადებს, მთავრობის შესახებ სიტყვების წარმოთქმის დროს „მუსავატი“-ის პასუხისმგებელი ორატორი აქ არ იყო და ახლა თხოულობს სიტყვასო. სეიმმა მიიღო ეს წინადადება.

„მუსავატის“ სახელით ლაპარაკობს რ.-ზადე. ჩვენ,—ამბობს იგი,—ამიერ კავკასიის სეიმს უყურებთ როგორც დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, როგორც დროებით მთავრობას. მათ უნდათ შეიმუშაონ ამიერ-კავკასიის კონსტიტუცია. ამ თვალსაზრისით ჩვენ მხარს დაუჭერთ მთავრობას. სეიმი და მთავრობა უნდა იდგეს ამიერ კავკასიის თავისუფლების მთლიანობის დაცვის ნიადაგზე. ამ მხრით „მუსავატი“ მხარს დაუჭერს მათ. უნდა ვებრძოლოთ გარეშე მტერს, რომელიც ემუქრება ამიერ კავკასიის თავისუფლებას. მაგრამ არა მარტო ერთის მხრით მოგველის ჩვენ გარეშე საფრთხე. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს აქ, რომ შევებრძოლებით ბნელ რეაქციას, თუ მან გაიმარჯვა ჩრდილოეთში, ამიტომ ამიერ კავკასიის ყველა ხალხებმა უნდა შეიცვალონ შინაგანი პსიხიკა. თუ არ წარმოვიდგენთ ამიერ კავკასიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და კვლავ სხვას მივაპყრობთ თვალებს, მაშინ ხალხთა სოლიდარობა არ იქნება მიღწეული. ამ თვალსაზრისით ვიხილავთ ჩვენ მოქალაქე გეგეჭკორის კაბინეტის დეკლარაციას და დარწმუნებული ვართ, რომ სეიმი და მთავრობა ერთნაირათ დაიცავს დამოუკიდებელ ამიერ კავკასიას ყოველგვარ გარეშე საფრთხიდან. ეს მოგვცემს ხალხთა სოლიდარობის გარანტიას. ჩვენც ამ თვალსაზრისით უჭერთ მთავრობას მხარს.

ვენ—ხონ.

# ახალი ამბები

✦ თავდაცვის შტაბის განკარგულებით შეიპყრეს ბოროტმოქმედნი მიკირტიჩ დავიდოვი, კიზინოვი, პეტროს ვანიევი, ვართან ტერკაზაროვი, გიორგი მეგრაბოვი, სერგო სარიბეკოვი და გრიგორ ტერ-კაზაროვი, რომელთაც ბრალდებათ ავლაბრის სასურსათო დუქნის დაწვა და საქონლის გატაცება.

✦ **ლტოლვილთა რიცხვი** იგდირში 22 ათასამდეა. ყოველ დღე მოდიან ლტოლვილები სურმალინის მაზრიდან.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის** უფროსი აცხადებს მოსამსახურეთა საყურადღებოთ, რომ ჯამაგირები მიეცემათ მათ მარტის 16-დან. პირველად მიიღებენ დეკემბრის ხვედრ ფულს.

✦ **ქალაქის პურის საცხობი დუქნების** მომატემა გადასწყვიტა სასურსათო კომიტეტმა. ქალაქს სულ ექვსი დუქანი აქვს, სადაც ცხვება 2640 ფუთი პური, ქალაქს კი ყოველ დღე ესაჭიროება 3331 ფუთი. ამ დღეებში სასურსათო კომიტეტი გახსნის კიდევ სამ დუქანს და საჭირო პური მხოლოდ ქალაქის ფურნეებში გამოცხვება. კერძო პურის მცხობლებს ფქვილი აღარ მიეცემათ და ეს კი ხელს შეუწყობს პურის ღირსების გაუმჯობესებას და ყველა რაიონებში ერთგვარი ღირსების პური დაცხვება.

✦ **ტრამვაის ტარიფის მომატება.** 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვით ტრამვაის დღეში 22 ათას. მანეთი შემოსავალი ესაჭიროება ხარჯების დასაფარავათ. ყოველდღიური შემოსავალი კი 17 ათას მანეთს არ აღემატება. განზრახულია ტრამვაის ფასის გადიდება. 10 კაპ. ბილეთი 30 კაპ-დე. 20—50 კაპ. დიდუბის ლიანგზე 20 კაპ. დაწესდება ასეთივე ფასი ნაძალადევში.

✦ **სამხედრო სამრეწველო კომიტეტს** კომისარიატმა რევიზია დაუნიშნა. სარევიზიო კომისია მუშაობს ყოველდღე თუ ვისმეს რაიმე ცნობა აქვს სამხედრო სამრეწველო კომიტეტის შესახებ კომისია სთხოვს გამოცხადდენ 12—2 საათამდე. ანდა წერილობით აცნობონ კომისიას თავიანთი მისამართი და დაუნიშნონ დრო ცნობების მისაღებათ.

✦ **მთავრობის განკარგულებით** ბანკებიდან ფული არავის არ მიეცემა, რადგანაც სამხედრო საჭიროებისათვის დიდი ძალი ფულია საჭირო.

✦ **თფილისის პროფესიონალურ საბჭოს პრეზიდიუმი** ემყარება რა მუშათა საბჭოს და პროფესიონალურ ყრილობის რეზოლიუციებს, მიმართავს თხოვნით გუბერნიის კომისარს •დაკეტილ იქნას ყოველივე კერძო უმუშევართათვის ადგილის მიმწოდებელი კანტორები, რომელთაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ მუშებისათვის.

✦ **ბაქოდან** იტყობინებიან, რომ იქ ამ დღეებში ქართველ მხედრობას გაუმართია დიდი მიტინგი, სადაც რეზოლიუცია გამოუტანია, ყოველივე დახმარება გაუწიონ სეიმს, რათა ცხოვრებაში გატარებული იქნას სეიმის დადგენილება მობილიზაციის შესახებ.

✦ **ვეზიროვის ოჯახობის მკვლელნი** და მიხაილოვის კომისარიატის დამრბევნი, როგორც გუბერნიის კომისარი კ. ჯაფარიძე იტყობინება, დაუპატიმრებიათ, რომლებიც გადაეცემიან გასასამართლებლათ სამხედრო-რევოლიუციონურ სასამართლოს. სოფელ ოსიაურისთვის იარაღი აუყრიათ. კავთისხევში და ახალქალაქში გამართულ მიტინგებზე ხალხს განაჩენი გამოუტანია ამიერ-კავკასიის სეიმის და მთავრობისთვის მხარის დაჭერის შესახებ. ხალხი მზათ არის პირველივე დაძახილზე გავიდეს სამშობლოს გარეშე მტრისაგან დასაცავად.

✦ **დაკარგული კაცი.** შახტახტანის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ბიქტორ ცანავა, რომელიც მოთავსებული იყო ნავთლუღის გამნაწილებელ პუნქტში, არსადა სჩანს. თუ ვინმე იცის სად იმყოფება სთხოვენ აცნობონ კომიტეტის კანცელარიაში გოლოვინის პროსპ. 43 ტელ. 5—72.

✦ **ამხ. მუშა-პროპაგანდისტების საყურადღებოთ.** იმ პირებს, რომლებიც არიან დანიშნული სხვადასხვა მაზრებში სამუშაოთ გასაგზავნათ, ვთხოვთ მოვიდენ აუცილებლათ ხუთშაბათს, 15 მარტს საღ. 5 საათზე საოლქო კომიტეტის ბინაზე.

✦ **წვრილი ამბები.** მილიციონერებმა შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს ბეჟან ზერენიძე, რომელიც პურს ნიხრზე მეტათ ჰყიდდა.

— მე 30 კავკასიის მუშათა ბათალიონის მოხელე ხარაზოვმა განაცხადა სისხლის მილიციაში, რომ მას ღამე 13 მარტს თავს დაესხენ ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი და წაართვეს 5239 მ. და ვერცხლის საათი.

— 13 მარტს ღამით სეიმის წევრმა ბერშტეინმა ტელეფონით შეატყობინა მილიციაში, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა მიხეილის და კიროჩნის ქუჩის კუთხეში გაძარცვეს შვეიცარიის საელჩოს მდივანიო.

✦ **ბეჭდვითი საქმის** მუშათა კავშირის ახალი გამგეობის პირველი სხდომა მოხდება ხუთშაბათს, 15 მარტს საღამოს 7 საათზე.

✦ **ლევან დადეშქელიანის მოკვლის გამო** მივიღეთ სამგლოვიარო წერილები და დეპეშები: იასონ გობეჩიასგან, ყარამან ტუღუშისაგან, ბენიამენ კვაჭაძისაგან, მიხეილ ქიქოძიდან, გრიშა შარაშიძისაგან, პანტელიმონ რამიშვილისაგან და ნოე გოგელიასაგან, ოჯახში მოსამსახურე პროფეს. კავშირისაგან, საჩხერის ს. დ. ორგანიზაციისაგან, პოლიკარპე ანდრიაძისაგან, ილიკო ლეკიშვილისაგან, ანტონ ცხვედიანისაგან, ზუგდიდის ს. დემ. კომიტეტისაგან.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, სალამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს 15 მარტს, საღამოს 6 საათ. რაიონულ კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრების კრება. ახალ წევრებს სთხოვენ ნულ დაიგვიანებენ.

— 17 მარტს, საღამოს 6 საათზე, ვერის ს.-დ. მ. პ. კლუბი მართავს სალიტერატურო საღამოს და ლექციას. მონაწილეთა სახელები და პროგრამა ცალკე იქნება გამოცხადებული. ბილეთები იყიდება კლუბის შენობაში (უდელის ქ, № 3).

— 16 მარტს, საღამოს 6 საათზე, მეექვსე ვაჟთა გიმნაზიაში (უდელნი ქუჩა) გაიმართება მეოთხე რაიონის წითელ გვარდიელთა კრება. სთხოვენ ყველას აუცილებლათ დაესწრენ კრებას.

— დღეს, საღამოს 4 ს., „ახალი კვალის“ რედაქციაში დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის საკანტროლო კომისიის სხდომა.

— დღეს, 15 მარტს საღამოს 5 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია სომეხ. სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომა, დღის წესრიგია: ამხ. ზურაბოვის მოხსენება: „მიმდინარე მომენტი და ჩვენი მიზნები“. ამხ. ბეკზადიანის მოხსენება: „ომი ოსმალეთთან და ჩვენი ძალები“. დასასრულ მოხდება ხელახალი არჩევნები სომხის სექციაში.

# პროვინციის ქრონიკა

**ხად. ჯუმათი.** აქ არსებობს სამკითხველო, რომელიც აგერ ერთ თვეზე მეტია რაც დაკეტილია. რამ გამოიწვია სამკითხველოს დაკეტვა არავინ იცის. ამბობენ, თითქოს ანგარიშს ადგენენო. თუ ეს მართალია სწორეთ გასაკვირია როგორ ვერ გაათავეს ამდენ ხანს ანგარიში, ან რა საჭირო იყო სამკითხველოს დაკეტა. კარგი იქნება გამგეობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას.

# საზავო მოლაპარაკება ტრაპიზონში

(ოქმებიდან).

პირველ სხდომაზე მისალმების შემდეგ ორივე დელეგაცია აცხადებს დელეგატთა სიას და ადგენს, მანდატები გადაეცეს განსაკუთრებულ კომისიას განსახილველათ. დამტკიცების შემდეგ ოსმალთა დელეგაციის თავმჯდომარე კითხულობს შემდეგს განცხადებას: „ოტომანთა საიმპერატორო მთავრობის დელეგაციას აქვს პატივი განაცხადოს, რომ მთავრობას აქვს წრფელი განზრახვა დაამყაროს კეთილ მეზობლური განწყობილობა რესპუბლიკასთან, რომელიც ამიერ-კავკასიაში შექმნის პროცესში იმყოფება. ოტომანთა დელეგაცია სთხოვს ამიერ-კავკასიის დელეგაციას წარმოადგინოს დაწვრილებითი დეკლარაცია. თუ რა ნაირია ფორმა პოლიტიკური და ადმინისტრატიული ორგანიზაცია ზემოხსენებული რესპუბლიკისა, ამასთანავე ერთად კითხულობს—გაკეთებულია, თუ არა ყველაფერი, რაც საერთაშორისო უფლების ძალით საჭიროა სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლათ“.

ამ განცხადების შემდეგ კრება სწყდება:

მეორე სხდომაზე იწყება იმის გამორკვევა, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს თავმჯდომარეობა, ჩვენი საზავო დელეგაცია თანახმათ იმ დოკუმენტებისა, (რომლებიც ხელთ აქვს სხვადასხვა დროს გაგზავნილი დეპეშები), ამტკიცებს, რომ ტრაპიზონი მიჩნეულია ნეიტრალურ ქალაქად და ამიტომ თავმჯდომარეობა უნდა ეკუთვნოდეს როგორც ერთს მხარეს, ისე მეორეს. მაგრამ, რადგანაც მოლაპარაკების თაოსნობა ოსმალეთს ეკუთვნის, ჩვენი დელეგაცია მზათ არის პირველად თავმჯდომარეობა დაუთმოს ოსმალეთის დელეგაციას. მაგრამ რადგანაც ოსმალეთის დელეგაცია სხვანაირად უცქერის საქმეს და ტრაპიზონი ნეიტრალურ ქალაქად კი არ მიჩნია, არამედ ოსმალეთის ქალაქად, ჩვენი დელეგაცია, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად თავმჯდომარეობას უთმობს ოსმალეთის დელეგაციას.

როდესაც საკითხი გამორკვეულად იქნა მიჩნეული, დელეგაცია შეუდგა განცხადებათა განხილვას, ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა წაიკითხა განცხადება იმ შეკითხვის გამო, რომელიც ოსმალეთის დელეგაციამ მოგვცა და რომელიც შეეხებოდა საკითხს,—თუ რა ნაირია შინაგანი წესწყობილება ამიერ-კავკასიისა და მისი უფლებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა. ეს განცხადება უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენ გაზეთში.

აკ. ჩხენკელის განცხადების შემდეგ ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე მუხლობრივ არჩევს განცხადებას და სხვათა შორის მას აინტერესებს, თუ როგორ ესმის აკ. ჩხენკელს თავისუფალი გამოხატულება ამიერ-კავკასიის ერთა ნებისყოფისა. ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარეს უხერხულად მიაჩნია ამ ნაირი საკითხების დასმა, რადგანაც ეს ჩვენი შინაური საქმეა. ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე განმარტავს, რომ მათ აზრადა არა აქვს სხვის შინაურ საქმეებში ჩაერიონ, როგორც თითონ არ მისცემს არავის ნებას ჩაერიოს ოსმალეთის შინაურ საქმეებში, მაგრამ მას მაინც საჭიროდ მიაჩნია იცოდეს, რა ნაირია შინაგანი ორგანიზაცია ამიერ-კავკასიისა. ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარე კვლავ აღნიშნავს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ამ საკითხზე პასუხის გაცემა, მაგრამ თუ ოსმალეთის დელეგაციას ჰსურს იცოდეს, რანაირი შინაგანი წყობილებაა ამიერ-კავკასიისა, იგი მზად არის ეს ცნობები მისცეს კერძო თათბირზე. ოსმალებს იმდენად აინტერესებს ეს საკითხი, რომ თავმჯდომარე მეორე სხდომას კონფერენციისას ჰხურავს და აცხადებს კერძო თათბირს.

მესამე სხდომაზე გამოირკვა, თუ რომელი მხარე რანაირის თვალსაზრისით უცქერის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას. ოსმალთა დელეგაციის თავმჯდომარეს საჭიროთ მიაჩნია მოლაპარაკების არსებითათ გამართვამდე ზოგიერთი ადგილები ჩვენი დელეგაციის განცხადებისა გამოირკვეს. ასე მაგალითად, ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა, ბალშევიკების გამარჯვების შემდეგ რუსეთში, ამიერ-კავკასიაში გაჩნდა ახალი დამოუკიდებელი მთავრობა, პასუხის მგებელი ამიერ-კავკასიის სეიმის წინაშეო. ოსმალეთის დელეგაცია სთხოვს ჩვენს დელეგაციას გამოარკვიოს ამიერ - კავკასიის ტერიტორიის საზღვრები. ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა: ამიერ-კავკასიის მთავრობა თავისთვის სავალდებულოდ არა სთვლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებასაო.

ოსმალეთის დელეგაცია აცხადებს: ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის, რომ ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულობა სავალდებულო არ არის მესამე სახელმწიფოსთვის, მაგრამ ამისთვის საჭიროა ამნაირმა სახელმწიფომ მიიღოს ზომები, რათა იგი შეიქმნას, თანახმათ საერთაშორისო უფლებისა და ამასთანავე ერთად საჭიროა მისი დამოუკიდებლობა აღიარებულ იქმნას სხვა სახელმწიფოთა მიერ. ამიერკავკასიის მთავრობამ ბრესტ ლიტოვსკის მოლაპარაკების დროსაც კი არ მიიღო ზომები, რათა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა აღიარებულ ეყოფილიყო სხვა სახელმწიფოთა მიერ, ამ აზრის დასამტკიცებლათ ოსმალეთის დელეგაციას მოჰყავს ევგენი გეგეჭკორის დეპეშა, რომელშიაც იგი ამბობს: ამიერ-კავკასია განუყოფელი ნაწილია რუსეთის რესპუბლიკისა და ამიტომ, საზავო მოლაპარაკების დაწყებამდე, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ რუსეთის რესპუბლიკის სხვა ავტონომიურ ერთეულებსო. ამიერ-კავკასიამ მონაწილეობა არ მიიღო ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში, როგორც მოიქცა უკრაინა. ესეც იმას ამტკიცებს, რომ ამიერ-კავკასიას თავისი თავი რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. მიუხედავათ ყველა ამისა, რომ დღემდის ამიერ-კავკასიაში მხოლოდ რუსის ჯარი იყო, ჩვენ მაინც განვაცხადეთ სურვილი ამიერ-კავკასიასთან საზავო მოლაპარაკების გამართვისა, რა წამს გავიგეთ, რომ ამიერ-კავკასიას ჰსურს დამოუკიდებლობის შექმნაო, განაცხადა ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ.

ამის შემდეგ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ შემდეგი წერილობითი განცხადება წარუდგინა ჩვენს დელეგაციას.

„ოტტომანის საიმპერატორო დელეგაცია ამიერ-კავკასიის დელეგაციის დეკლარაციას გაეცნო და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს დელეგაცია არჩეული ყოფილა სეიმის მიერ, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს ფორმაცია არ შეესაბამება საერთაშორისო საჯარო უფლებას და რომ ამ სახელმწიფომ ჯერ დეკლარაცია არ გამოსცა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ. ოსმალეთის მთავრობას გულწრფელათა ჰსურს ამიერ-კავკასიის ერთა თავისუფალი განვითარება, აზრათ აქვს კეთილი განწყობილება დაამყაროს ამიერ კავკასიის ერებთან და სთხოვს ამიერ-კავკასიის დელეგაციას გამოაცხადოს და გამოარკვიოს ოფიციალური ფორმა მთავრობისა, ტერიტორიის საზღვრები, სახელმწიფოებრივი ენა და სარწმუნოება. ამასთანავე ერთათ სთხოვს გამოარკვიოს რანაირი პოზიცია უკავია ამ მთავრობას ოსმალეთის იმპერიისადმი“.

ამ განცხადების შემდეგ სხდომა შესწყდა.

მეოთხე სხდომაზე აკაკი ჩხენკელმა გამოაქვეყნა ამიერ-კავკასიის დელეგაციის დეკლარაცია ოტომანის დელეგაციის 16 მარტის განცხადების შესახებ:

„ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულება ფორმალურად არ არის სავალდებულო და არსებითად მიუღებელია ამიერ-კავკასიისთვის.

ხელშეკრულება მიღებულია რუსეთის მიერ ისეთ მომენტში, როდესაც ის იყო (და აქამდისაც არის) სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული, როდესაც იქ არ არსებობდა მთლიანი ცენტრალური მთავრობა და როდესაც ერთ-ერთი გამომხატველი რუსეთის ერთა სუვერენულ ნებისყოფისა—დამფუძნებელი კრება—გარეკილი იყო.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიას, როგორც ეს უკვე განაცხადა ამიერ-კავკასიის დელეგაციამ თავის დეკლარაციაში 2 მარტს, მის ტერიტორიაზე ცენტრალურმა მთავრობამ შესწყვიტა თავის მოქმედება დღიდან ბალშევიკების აჯანყების დაწყებისა და მის მაგივრად იქ დაწესდა დამოუკიდებელი მთავრობა ამიერ კავკასიისა.

ამ ფაქტს ოტომანის მთავრობაც აღიარებდა, როდესაც მან 1 იანვარს თავის სამხედრო სარდლის პირით წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის მთავრობამ საზავო მოლაპარაკება დაეწყოთო და მას დამოუკიდებელს უწოდებდა. შემდეგ 15 იანვარს ოტომანის მთავრობამ კვლავ მიმართა წინადადებით ამიერ-კავკასიის მთავრობას ბრესტ-ლიტოვსკში დელეგატები გაგზავნეთო და იქვე პირდებოდა, რომ ცენტრალური სახელმწიფოების დელეგატები, ბრესტ ლიტოვსკში შეკრებილნი, მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ, რათა სცნონ ამიერ-კავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობაო.

ოტომანის დელეგაციამ მოიხსენია ამიერკავკასიის თავმჯდომარის დეპეშა 1918 წლის 23 იანვარს გამოგზავნილი, სადაც ნათქვამია, რომ ის აუცილებლათ სთვლის შეუთანხმოს თავის მოქმედება რუსეთის რესპუბლიკის სხვა ავტონომიური ერთეულების მოქმედებასა და აქტებს; მაგრამ მას დაავიწყდა ის საპასუხო დეპეშა ოტომანის მთავრობისა 1918 წლის 10 თებერვალს გამოგზავნილი, რომელშიაც ოტომანის მთავრობა აუწყებს ამიერ კავკასიის მთავრობას, რომ ის მზათ არის თავისი დელეგატები გაგზავნოს „ზავის საბოლოვო პირობების“ გამორკვევით და „საზავო ხელშეკრულების“ ხელმოსაწერათ. აქედან ცხადია, რომ ოტომანის მთავრობა ბ. გეგეჭკორის დეპეშის შემდეგაც სცნობდა ამიერ-კავკასიის მთავრობას დამოუკიდებლად და ერთად-ერთ სრულუფლებიანათ ოტომანის მთავრობასთან ზავის შეკვრაში.

ამიერ-კავკასიის სეიმის და მთავრობის თავმჯდომარეთა პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ამიერ-კავკასიას შეეხება, დეპეშით იყო გამოგზავნილი საზავო პირობების ხელის მოწერამდე.

დასასრულ, თვით ფაქტი ოსმალეთისა და ამიერ-კავკასიის დელეგაციათა შეხვედრისა ტრაპიზონში იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ორივე მხარეს ერთნაირად ჰქონდა შეგნებული კეთილ მეზობლურ ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა და ერთნაირადვე არ აძლევდენ მნიშვნელობას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას.

ამის გამო ოტომანის დელეგაციის დასკვნა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის იმ ნაწილს სავალდებულო ხასიათის შესახებ, რომელიც ამიერ-კავკასიას ეხება, იურიდიულად უსაფუძვლოა და სრულებით არ გამომდინარეობს იმ მოლაპარაკების მსვლელობიდან, რომელმაც ჩვენ ტრაპიზონში მოგვიყვანა.

ამიერ-კავკასიის დელეგაცია თავის მოვალეობათ სთვლის განაცხადოს, რომ მოლაპარაკების მთავარი ძარღვი ფორმალურ იურიდიულ დავაში კი არ არის, არამედ არსებით ნაწილში,—მით უმეტეს, რომ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო ამიერ-კავკასიისა, რასაკვირველია, შეასრულებს ყველა იმ ფორმალობას, რომელსაც საერთაშორისო უფლება მოითხოვს.

ამიტომ ამიერ-კავკასიის დელეგაცია დროულად და აუცილებლად სთვლის დაუყოვნებლივ შეუდგეთ იმ კონკრეტიულ წინადადებათა განხილვას, რომელიც ორივე დელეგაციის აზრით საფუძვლად უნდა დაედოს მტკიცე ზავს ოტომანის და ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებს შორის.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი ფორმას ეხლა იმუშავებს ამიერ-კავკასიის სეიმი. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დამყარდება დემოკრატიული, ფედერატიული რესპუბლიკა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს ტერიტორიას შეადგენს გუბერნიები: ბაქოს, განჯის, ერევნის, თფილისის და ქუთაისის; ოლქები: ბათუმის, ყარსის, სოხუმის და ზაქათალის; დაღესტანის ოლქისა შავი ზღვის გუბერნიის შესვლის საკითხი ამ.-კავკ. სახელმწიფოში ჯერ ღიად არის, ვიდრე ისინი თავის წარმომადგენლებს არ გამოგზავნიან ამიერ-კავკასიის სეიმში.

ოფიციალურ ენად ჯერ ხანობით რჩება რუსული; მაგრამ დელეგაციას შეუძლია სთქვას, რომ ის კონსტიტუცია, რომელიც ეხლა მუშავდება, სახელმწიფოებრივ ენებად აღიარებს: ქართულს, სომხურს და თურქულს.

ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში მოქმედებს კანონი სინიდისის თავისუფლების შესახებ; კონსტიტუცია, რომელსაც სეიმი იმუშავებს, უეჭველად გამოჰყოფს ეკლესიას სახელმწიფოსაგან და მოსპობს მართლმადიდებელ ეკლესიის ბატონობის ნაშთებს.

ამიერ კავკასიამ, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო საომარი მდგომარეობა რუსეთსა და ოსმალთა შორის თავის საზღვრებზე, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობით დამთავრდა (ხოლო მის შინაარსმა ამიერ-კავკასიის შესახებ ამიერ კავკასიის მთავრობის პროტესტი გამოიწვია),—ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს გამართული ოსმალეთთან, რათა ამ ომის შედეგების ლიკვიდაცია მოახდინოს და მტკიცე ზავი ჩამოაგდოს მასთან“.

# ბალშევიკურ რუსეთში

(პეტროგრადიდან თფილისამდე).

ძნელი წარმოსადგენია რა დღეები განიცადა რუსეთმა, როცა ბალშევიკების ბრძანებით ჯარებმა ფრონტი დაცალეს და გერმანიის ჯარებმა შეტევა დაიწყეს. ეს დრო სწორეთ რომ ტრაღიკული იყო რუსეთისთვის. ოდესღაც რუსეთის ძლიერი რეგულიარული ჯარი ბრბოთ გადაიქცა ‹ ეს შეშინებული, თავზაბზნეული ბრბო ათი ათასობით გამორბოდა ფრონტიდან, ყრიდა თოფებს, ზარბაზნებს და მტერს აურებელ სურსათს და საომარ მასალას უტოვებდა. საკმარისი იყო ამ გახრწნილ, შეშინებულ ბრბოს ათიოდე გერმანელი ჯარის კაცი მოსჩვენებოდა, რომ გამოქცეულიყვნენ. გერმანიის რამდენიმე ათეული ჯარისკაცი საკმარისი შეიქნა ძლიერი ციხის დვინსკის ასაღებათ.

ვუყურებდი საერთო გახრწნის და ნგრევის ამ საშინელ სურათს და ვფიქრობდი აი ახლა გამოფხიზლდება ხალხი, აი ახლა იფეთქებს მათ გულში სამღვთო ცეცხლი და გაალმასებული ეკვეთება მტერს რევოლიუციის და სამშობლოს დასაცავათ. ვფიქრობდი ან იქნებ თვით ბალშევიკებმა შეიგნონ თავის გიჟური ტაქტიკის დამღუპველი შედეგები და ან მათ მიერ მოტყუებული მასსა ჩამოშორდება მათ, როგორც მოღალატეებს დამღუპველებს, მაგრამ ამაოთ, ასეთი არავითარი ნიშნები არა სჩანს.

სრულ სხვაგვარი სულიერი განწყობილებაა ეხლა მასაში და სულ სხვა იყო წინათ. წინათ ყოველ სადგურზე, ყოველ სოფელში შეხვდებოდით გლეხებს, მუშებს, ჯარისკაცებს, რომლებიც გაფაციცებით თვალყურს ადევნებდენ ყველაფერს, თხოულობდენ წაკითხულ გაზეთებს, რომ გაეგოთ რა ამბავი ხდებოდა ქვეყნათ. ეს იყო ომის დაწყებისას. გავიდა დრო და ეს საერთო ინტერესი და ცნობის მოყვარეობა გულგრილობით შეიცვალა. ხალხი თითქოს შეეჩვია არსებულ მდგომარეობას. მაგრამ იფეთქა რევოლიუციამ და ისევ მილიონ დაკორძებული ხელები გაიშვირეს გაზეთებისკენ. ხალხის გულში ისევ იფექთა იმედის ცეცხლმა, ყველა დაინტერესდა გაეგო რა ხდებოდა.

რას ვხედავთ ეხლა? ბალშევიკების რუსეთში დღეს აღარავითარ ცნობის მოყვარეობას, აღარავითარ სურვილს გაიგონ ცხოვრების მიმდინარეობა, ადგილი აღარ აქვს. ბალშევიკური რუსეთი თითქოს მოკვდა, მას გაზეთი აღარ აინტერესებს, მისი ცნობის მოყვარეობა მიიფერფლა.

რით აიხსნება ბეჭვითი სიტყვისადმი ასეთი გულგრილობა? შეიძლება მით, რომ ბალშევიკებმა თითქოს დააკმაყოფილეს ხალხის სულიერი მოთხოვნილება თავიანთ აუარებელ გამოცემებით? ან იქნებ თავიანთ გაზეთ „პრავდა“ და „იზვესტია“-თი ჩაჰკლეს მუშებში და გლეხებში კითხვის სურვილი, რადგან დარწმუნდენ, რომ აქედან ერთ მართალ სიტყვას ვერ ამოიკითხავდენ?

ამ კითხვებზე პასუხს ვეძებდი მე ადგილობრივ ბალშევიკურ გაზეთებში იქ, სადაც ისინი ბატონობენ. ბალშევიკური „პრავდა“ და „იზვესტია“ ყველა დაბა ქალაქებში გამოდის, სადაც შესაძლებელი იქნა სტამბების ხელში ჩაგდება. მერე არ იკითხავთ რა სწერია შიგ? მხოლოდ კინემატოგრაფების, ცირკების და სხვა „ბალაგანების“ განცხადებები, სავალდებულო დადგენილებები და სხვა. იქ ვერ შეხვდებით ვერავითარ გონების საზრდოს, ვერავითარ საყურადღებო ამბავს. ამ გვარ გაზეთების ბედ იღბალი სრულიად უვიც ხალხის ხელშია. ცოტა უფრო უკეთესია გუბერნიის ქალაქების „პრავდა“ და „იზვესტია“, რადგან მათ ხანდახან პეტროგრადიდან აწვდიან მოწინავე წერილებს და უფრო კარგ ქაღალდზე იბეჭდება.

აი ერთ საგუბერნიო ქალაქის გაზეთი „პრავდა“.

გაზეთი იწყება ორი მოწინავე წერილით, რომლებიც პეტროგრადში დაწერილები უნდა იყოს. ერთ წერილში ქებათა-ქებას ასხამენ სახალხო კომისარების საგარეო პოლიტიკას, ხოლო მეორეში დანამდვილებით ამტკიცებენ, რომ ეხლა რომ რუსეთში მარქსი ყოფილიყო ის უეჭველათ ბალშევიკი იქნებოდაო.

ეს არის გაზეთის სახალხო ნაწილი. შემდეგ ადგილობრივ შეთხზული წერილები. მოწოდება გარნიზონს ჯარის კაცების მიერ ტყვიის მფრქვევილების გაყიდვის შესახებ. შემდეგ სასურსათო კრიზისის შესახებ და მუქარა ბურჟუაზიის მიმართ, ადგილობრივი ქრონიკა, რომელიც მხოლოდ მარტო ქურდობის შესახებ ამბებით არის სავსე და ჩამოთვლილია დაწვრილებით მოპარული ნივთები. შემდეგ ორი კომისარის პირდაპირ მავთულით ლაპარაკი: კომისარები ერთი მეორეს ელაპარაკებიან სადღაც შინაურ ფრონტზე რაზმის გაგზავნის შესახებ და არწმუნებენ ერთი მეორეს, რომ იგინი, როგორც ჭეშმარიტი ბალშევიკები, ვალდებული არიან ბოლომდე შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და „საზოგადოთ დაუნდობლათ მოექცენ ხალხის მტრებს! . ლაპარაკი ასე თავდება: „მშვიდობით ამხანაგო! გაუმარჯოს სოციალიზმს. სალამი ამხანაგებს. კომისარი ეგიროვი“.

„მშვიდობით! გაუმარჯოს სოციალიზმს! სალამი ამხანაგებს. კომისარი ბელოუსოვი“.

ამ ბრძნულ ლაპარაკის შემდეგ გაზეთში მოთავსებულია ადგილობრივ თეატრების ანგარიში, შემდეგ ვრცელი რეზოლიუციები, ამ განყოფილებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ „გოლუტვინის ვოლოსტი ბალშევიკების მთავრობას დაემორჩილა“. საპატიო ადგილზე ცალკე სათაურით მოთავსებულია, რომელიღაც ქარხანაში მომუშავე ჯარისკაცთა

რეზოლიუცია. მომყავს სიტყვა სიტყვით ეს რეზოლიუცია:

„ჩვენ, ჯარისკაცებმა-მუშებმა, ერთხმად დავადგინეთ: ჩვენ ჯარისკაცებს არ გვინდათ არც ომი და არც ზავი. ხოლო უკეთუ მთელი ქვეყნის იმპერიალიზმმა ჩვენ შემოგვიტია, მას ჩვენ შეუბრალებელ ომს გამოუცხადებთ და მთელ ბურჟუაზიას თხრილების სათხრელათ გავგზავნით". გაზეთის მეოთხე გვერდზე იწყება პოლიტიკური ამბები, სადაც მოთავსებულია ბალშევიკურ ხასიათის დეპეშები და რადიოდეპეშები.

აი ვრცელი დეპეშა, რომლითაც ამცნობენ, რომ იაპონიის ერთ გაზეთში მოათავსეს წერილი, რომლითაც ქებათა ქებას ასხამენ ბალშევიკებს და ლენინს ჩვენი დროის ერთ უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეთ სთვლიათ. ამ დეპეშას მისდევს მეორე, სადაც ნათქვამია, რომ გერმანიის ფლოტში აჯანყება მოხდა და 54 აფიცერი მოჰკლესო. ყველაზე დიდი დეპეშაა—16 მუხლიანი რეზოლიუცია რომელიღაც კომისიის საბოტაჟის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ.

შემდეგ ცნობა ბალშევიკების მიერ დონის დაპყრობის შესახებ და მის გვერდით მოკლე შენიშვნა: „გერმანელმა და რუს თეთრმა გვარდიელებმა, რომელთა შორის მრავალი რუსი მოღალატე აფიცრებია, დაიჭირეს რეველი".

ოდესმე რუსეთის რევოლიუციის ისტორიკი შეჰკრებს საბჭოს მთავრობის, მათი მეფობის დროის ბეჭდვითი ორგანოებს და განცვიფრებული დარჩება რა სიმხეცე, სირცხვილი და გახრწნა გაამეფეს ამ ბატონებმა მთელ რუსეთში.

ყველაფერი შეიძლება გაიგოს კაცმა, ყველაფრის გამართლება შეიძლება. შეიძლება გაიგოს კაცმა დეზერტირთა ბნელი მასის დანაშაული, შეიძლება გაიგოს კრონშტადის და შავი ზღვის მეზღვაურთა სიმხეცე. შეიძლება გაიგოს სტოლიპინი ჯალათი, პროტოპოპოვი, რომელიც ხალხს ხვრეტდა ტყვიისმფრქვეველებით.

მაგრამ როგორ უნდა გაიგოს კაცმა ხალხის სულის მკვლელები? როგორ უნდა გამოიძებნოს მათი გასამართლებელი საბუთები? როგორ შეიძლება იმ საზიზღარ მოქმედების გამართლება, რომელსაც ეს ხალხის სულის მკვლელები ახდენდენ თავიანთ გაზეთების ფურცლებზე?!

როცა ვკითხულობდი ბალშევიკების „პრავდას" ნომრებს სირცხვილით ვიწოდი და თან აშკარა ხდებოდა ჩემთვის ბალშევიკურ პროვინციალურ რუსეთის სულისკვეთება.

რუსეთი მოკვდა. ის აღარ არის, აღარ არის ხალხი, არ არის საზოგადო დაღუპვის, საზოგადო შერცხვენის შეგნება. დარჩა მხოლოდ გაბოროტებული კერძო პირები, რომლებიც მხოლოდ მარტო თავის თავზე ფიქრობენ. ხალხი მოიღალა ომისაგან, ყველაფრის იმედი დაჰკარგა. მას ეზიზღება ყველა ის, რომლებიც მას ეუბნებოდა სამშობლოზე, რევოლიუციაზე, მოვალეობაზე.

ბალშევიკების რუსეთს უმწვერვალესათ სძულს კერენსკი, ასევე ბრმათ სძულს წერეთელი და ჩხეიძე.

ამ ხალხს, რომელიც სწყევლის თავის ძველ ბელადებს, არავითარი კავშირი არ ჰქონდა სამშობლოსთან. მეფის მთავრობის დროს სახელმწიფოსთან მას აკავშირებდა ძალადობა და შიში. შემდეგ თებერვლის რევოლიუციის დროს დემოკრატიის მოწინავე ელემენტებმა მოინდომეს შეექმნათ ეს კავშირი რევოლიუციონურ აღფრთოვანების საფუძველზე, მაგრამ ამ ცდას ბოლო მოუღო ოქტომბრის გადატრიალებამ, როცა მონა აღსდგა მოქალაქის წინააღმდეგ. ამის შემდეგ რუსეთი უფსკრულში ჩაიღუპა.

ბალშევიკების რუსეთი—ეს ხალხის მტერია, ის თავაშვებულ ინდივიდუალიზმის განხორციელებაა.

ვაკვირდები რა ბალშევიკურ რუსეთს, მაგონდება პარიზის კომუნა.

ხშირათ ბალშევიკებს 1871 წლის კომუნარებს ადარებენ. მაგრამ განა არის რაიმე საერთო ბალშევიკებსა და კომუნარებს შორის? იქ კოლექტივობის, ბირად შეწირვის ენტუზიაზმია გამეფებული, აქ კი უმწვერვალესი ეგოიზმი, სულიერი დამდაბლება და გახრწნა.

არც პუგაჩოველებს ჰგავს ბალშევიკები. პუგაჩოველების გულში კიდევ ღვიოდა დაჩაგრულ კლასის კოლექტიური ნებასურვილი, ბალშევიკებში კი სრული გახრწნაა.

გახრწნილების მორევში ჩაფლული რუსეთი კვდება, კვდება ისე, რომ მას ვერ გაუგია თავის დაღუპვა, ვერ გაუგია რომ ბოლო ელება. („ბ.")

ვლ. ვოიტინსკი.

## თფ. მაზრის რაიონების სადგილ-მამულო კომიტეტ. ყრილობა

11 მარტს მოწვეული იყო ყველა რაიონების სადგილ-მამულო კომიტეტების წარმომადგენლების ყრილობა, რომელსაც დაესწრო მთელი პრეზიდიუმი სამაზრო სადგილ-მამულო კომიტეტის წევრნი, საგუბერნიო ს. მ. კომ. წარმომადგენელი, ცენტრის წარმომადგენელი და სხვა. ამ კრებაზე აგრეთვე იყო მოწვეული სეიმის წევრი ამხ. ნ. ხომერიკი, რომელმაც გააცნო კრებას ახალი გამოცემული კანონი მიწის შესახებ.

კრებამ მრავალი კითხვები გადასწყვიტა და დასასრულ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნდობას უცხადებს სეიმს და კომისარიატს.

გ. ჯ—ლ—ი.

## სიმონ არჯ. ძე დოლიძე

3 მარტს დიდი ხნის ავათმყოფობის შემდეგ სოფ. სამებაში (გურია) გარდაიცვალა სიმონ დოლიძე. ის იყო წყნარი, გულწრფელი მუშა, პირდაპირი. პირნათლათ ასრულებდა საზოგადოებრივ მოვალეობას.

ის 1905 წ. ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში და თავისი ახალგაზდური ენერგიით შეებრძოლა უსამართლობას. მას არსაოდეს არ უღალატნია წითელ დროშისათვის, ის მისი მომავალი მზე იყო... მოაწია 1917 წ. და მას ვხედავთ ორგანიზაციაში. უფრო ენერგიულათ შეუდგა თავის საყვარელ საქმეს. მან არ იცოდა დაღლა... მაგრამ მან ვერ მიაღწია საბოლოო გამარჯვებამდე ამ რევოლიუციისა და ულმობელმა სიკვდილმა მოსწყვიტა ის საყვარელ საქმეს, საყვარელ დედას, პაწია შვილებს, ძმებს და ამხანაგებს.

მშვიდობით ამხ. სიმონ! შენი პატიოსანი სახელი დაუვიწყარი იქნება შენი მეგობრების გულში!

გრიშა დ—ძე.

## წითელი გვარდიის შტაბი

1) თფილისის წითელი გვარდია დაარსებულია თფილისის მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოსთან, რაზმი შესდგება თფილისის რევოლიუციონურ მუშებისაგან.

2) წითელი გვარდიის მიზანია რევოლიუციის დაცვა და ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან და ანარქიასთან.

3) გვარდიას ხელმძღვანელობს საზოგადოებრივ თავდაცვის კომისია, რომელიც მუშ. და ჯარ. აღმასრულებელ კომიტეტთან არის დაარსებული.

4) საზოგადოებრივ თავდაცვის კომისია აწყობს წითელ გვარდიის რაიონულ შტაბს, რომელსაც მინდობილი ექნება: 1) შედგენა წითელ გვარდიელთა სიისა, 2) საერთო ხელმძღვანელობა, სწავლა და ყურისგდება თავის რაიონის გვარდიელებისა.

**შენიშვნა.** 1) გვარდიელთა სია უნდა იქნეს დამტკიცებული საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტის მიერ, რომელსაც უფლება აქვს არა საიმედო პირნი ამოშალოს სიიდან.

5) წითელ გვარდიაში მიიღებიან ყველა მუშები, რომელნიც დგანან კლასობრივ და ინტერნაციონალურ მსოფლიო მხედველობის ნიადაგზე. მიღებულ უნდა იქნას ყოველივე ზომები, რომ რაზმში საეჭვო პირნი არ მოყვნენ.

6) რაიონული კომისიები იღებენ წითელი გვარდიელთათვის იარაღს და ტანსაცმელს საზოგადოებრივ თავდაცვის კომისიისაგან.

7) იარაღის შენახვის შესახებ პასუხს აგებს 1) თითონ გვარდიელი 2) ის ათეული, რომელშიაც შედის გვარდიელი 3) რაიონული კომისია.

**შენიშვნა** 2) თუ ვინიცობაა გვარდიელმა დაჰკარგა იარაღი, რაიონული კომისია ნიშნავს გამოძიებას და თუ დაუმტკიცდა გვარდიელს დანაშაულობა, იგი სასტიკათ დაისჯება, ადგილიდანაც დაითხოვენ და შეიძლება ციხეც მიუსაჯონ.

8) წითელ გვარდიელნი მოვალენი არიან დაემორჩილონ რევოლიუციონურ დისციპლინას, ყოველივე დარღვევა დისციპლინისა განხილული იქნება, როგორც რევოლიუციის წინააღმდეგ გამოსვლა და დამნაშავე გადაეცემა საამხანაგო სასამართლოს. თუ დანაშაულობა მეტათ მძიმე იქნება—დამნაშავეს დახვრეტენ.

9) წითელ გვარდიელნი მოვალენი არიან უჩვენონ მაგალითი რევოლიუციონურ დისციპლინისა, ეწევიან რა ბრძოლას რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ, გვარდიელნი მოვალენი არიან თავიანთ შორის აღმოფხვრან ყოველივე, რაც რევოლიუციის საზიანოა. წითელ გვარდიელნი სასტიკათ უნდა სდევნიდენ რევოლიუციონურ დისციპლინის დამრღვევთ.

10) ყოველივე გამოსვლა წითელ გვარდიისა უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივ თავდაცვის შტაბის ანდა რაიონულ კომისიების ხელმძღვანელობით, აკრძალულია ნებადაურთველათ ჩხრეკა მცხოვრებლების, თუ აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს. იარაღით სიარული ქუჩაში აკრძალულია.

11) წართმეული იარაღი წითელ გვარდიელმა უნდა ჩააბაროს თავის რაიონულ კომისიას, უკანასკნელი კი ვალდებულია გადასცეს საზოგადოებრივ თავდაცვის შტაბს.

12) გამოსვლის დროს წითელ გვარდიელები მოვალენი არიან დაიცვან რევოლიუციონური დისციპლინა. უნდა ასრულებდენ ყოველივე განკარგულებას თავიანთ უფროსების, რომელთა დაუკითხავათაც არ შეუძლიან დაანებონ თავი თავიანთ მიჩნეულ ადგილებს. გვარდიის სხვა ადგას გამგზავრების დროს „ოტპუსკი" მოსპობილია, სამსახურის დროს დათრობა სასტიკათ აკრძალულია.

13) ვინც თავს გაანებებს წითელ გვარდიას, იარაღი დანიშნულებისამებრ უნდა ჩააბაროს.

## სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 11 მარტს შესდგა მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა საერთო პარტიული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ, პარტიული მუშაობის გაფართოვება და არჩევნები კოლექტივის და სარევიზიო კომისიის წევრებისა. კოლექტივის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა მდივანმა, მან ხაზგასმით აღნიშნა ის პირობები, რომელ პირობებშიაც უხდებოდა დასახელებულ კოლექტივს მუშაობა და შემდეგ შეეხო მის საქმიანობას. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: მოხსენების პირველი ნაწილი, რომელიც შეეხება კოლექტივის იდეურ მუშაობას კრება ამტკიცებს; რაც შეეხება მეორე ნაწილს მოხსენებისას, სადაც განხილულია ფინანსიური მხარე, მას ღიათ სტოვებს ანგარიშის სარევიზიო კომისიის განხილვამდე. პარტიულ მუშაობის შესახებ ილაპარაკეს რამოდენიმე ამხანაგებმა და ითხოვდენ სათანადო ყურადღების მიქცევას მცირე კოლექტივებში პარტიული მუშაობის გადიდებაზე, უმთავრესათ მე-5 უბნის მცირე კოლექტივში. კრება ავალებს ახალ კოლექტივის შემადგენლობას პირველ რიგში დასვას ეს კითხვა და მიიღოს შესაფერი ზომები მე-5 უბნის მცირე კოლექტივის განახლებისათვის. დაბოლოს მოხდა არჩევნები კოლექტივის წევრებისა. არჩეულ იქნა 15 წევრი და სამი კანდიდატი. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები გადაიდო შემდეგ კრებისთვის.

ნა.

**თფილისი.** 28 თებერვალს ამხანაგ გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა პირველ რაიონის ს.-დ. კოლექტივის წევრთა კრება. გასარჩევი იყო: თფილისის კომიტეტის მოხსენება და ქვერაიონული კოლექტივი დიდუბეში. ამხ. ბახტაძემ თფილისის კომიტეტის სახელით გააცნო კრებას უკანასკნელი ცნობა ამხ. ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი საზავო მოლაპარაკების შესახებ ოსმალეთთან. შემდეგ ამისა მომხსენებელმა გააცნო კრებას თფილისის და საოლქო კომიტეტების დადგენილება, რომ მოწინავე მუშები გაგზავნილ იქნან სოფლად პროპაგანდა-აგიტაციის გასაწევად და ორგანიზაციების მოსაწყობათ. კრებამ მოხსენება მიიღო მხედველობაში და აირჩია ხუთი კაცი სოფელში გასაგზავნათ. ქვერაიონულ კოლექტივის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად მიიღო: დაარსებული იქნას ქვერაიონული კოლექტივი არა მარტო დიდუბეში, არამედ იქაც, სადაც მოითხოვს საჭიროება.

ალფესი კვაჭაძე.

## მუშათა შორის

**თფილისი.** 11 მარტს მოხდა ღვინის სარდაფების და კანტორის მუშა-მოსამსახურეთა შეერთებული საზოგადო კრება, ამავე დარგის მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის ხელმძღვანელობით. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. არსენ თოდრია, რომელმაც გააკეთა მოხსენება დღევანდელ კრიტიკულ მომენტზე, შეეხო ბალშევიკების მიერ დამღუპველ ტაქტიკით შექმნილ ყოფნა არ ყოფნის მდგომარეობას, რომლის წყალობითაც როგორც მთელ რუსეთში, ისე კავკასიაშიდაც გამეფებულია ანარქია და არევ-დარევა, მათივე უტაქტიკობითაა, რომ წალეკას უქადის გარეშე მტერი ჩვენს როგორც თავისუფლებას, ისე ფიზიკურ არსებობასაც; კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ საერთო კრიტიკულ მომენტს, როგორც შიგნით, ისე გარეთ, ვითვალისწინებთ რა საერთო ფრონტის დარღვევას, რომლის შემდეგ გათამამებული მტერი გაავთრებული ცდილობს ჩვენ დამოუკიდებლობის მოსპობას, ამავე დროს შიგნითაც ხდება ანარქია და არევ-დარევა. ღრმათ დარწმუნებული იმაში, რომ ასეთი მდგომარეობის შექმნა და თავისუფლების საფრთხის წინაშე დაყენება შედეგია ბალშევიკების უპასუხისმგებლო მოქმედების, ჩვენ გულის წყრომას და ზიზღს ვუცხადებთ მათ ანარქისტულ მოქმედებას, რომლის შემდეგ ფიცს ვსდებთ სეიმის და მის ს. დ. ფრაქციის წინაშე, რომ ვიბრძოლებთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, როგორც შინაურ, ისე გარეშე ფრონტზედაც". შემდეგ კრებამ ფეხზე ადგომით პატივისცა ამხ. ლევან დედიშკელიანის ხსოვნას და წყევა და კრულვა შეუთვალა მკვლელებს.

კრებამ გაარჩია დღის წეს-რიგში დასმული საყურადღესო კითხვები, რომლის დროს საერთო მთლიანობა კრების არ დარღვეულა. დასასრულ მოხდა გამგეობის ხელ-ახალი არჩევნები. ვუსურვებთ გამგეობას ენერგიულ, ნაყოფიერ მუშაობას.

ა. იანეულისელი.

## პროვინცია

**გარე-კახეთი.** გარე-კახეთის მცხოვრებნი, განურჩევლათ ეროვნებისა, ყაჩაღების წინააღმდეგ ამხედრდა; ამ უკანასკნელ ხანებში მათი წყალობით ხალხს მოსვენება არ ჰქონდა, სართიჭალის და ყარაიაზის სარაიონო რევოლიუციონურ სასამართლოს დაარსების შემდეგ თითქოს მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მხოლოდ ყაზახის მაზრის თათრის ყაჩაღებმა ამას წინათ დასტაცეს დიდძალი საქონელი მალაკნებს.

18 თებერვალს დილით ამის გამო ადგა მთელი ივრის ხეობა, იარაღი აისხა და დაედევნა ყაჩაღებს. ყაჩაღებმა მოასწრეს საქონლის გადამალვა, მოკლულია ერთი მალაკანი საქონლის ყარაული და ორი ყაჩაღთაგანი. რომ თათრის და ქართველის სოფლების შორის შეტაკება არ მომხდარიყო, დაადგინეს: იორო მუღანლოდან, საგარეჯოდან, პატარძეულიდან, ხაშმიდან, ზემო მუღანლოდან და თვით მალხაზოვკიდან გაგზავნილიყო დელეგაცია საგუბერნიო კომისარიატში და განსაკუთრებით მუსულმანებთან, რათა მათ მიეღოთ ზომები. ზომებისა კი რა მოგახსენოთ და ჩავედით რა სართიჭალის რაიონ. კომისარი გ. ჯილაური პატარძეულ. მიხ. ჯილაური, ხაშმიდან ვ. მაისურაძე, მალხაზოვკიდან რემეზოვი ყარაიაზის სარაიონო და სხ. თვით კომისარმა აბაზ ნურიევმა (ზემო მუღან. ბაირამაშვილი) დიდი დახმარება გაგვიწიეს. ჩავედით ყაზახის მაზრაში თვით სადახლო შიხლოს კომისარებთან—ყაჩაღებს და მათ კომისარიატს პირის-პირ შევხვდით. ბევრი ცდის შემდეგ დაგვპირდენ მხოლოდ ოთხასი სულის ძროხა და ცხენის გამოჩენას და თან დასძინეს, რომ ძალა დაგვატანეთ, თორემ ზოგი ყაჩაღები ნებით არ დააბრუნებენო. ყველაფერი ამის შესახებ ეცნობა საგუბერნიო კომისარიატს და იმავ „მუსავატსო". მათ შორის განდჟინსკის, შიხლინსკის, სულთანოვს, ხანდამიროვს, ჯაფაროვს და სხ. ყოველივე ძალა-უფლება მათ უფრო შესწევთ მუსულმან ყაჩაღების წინააღმდეგ.—უცდით მათ მიერ მიღებულ ზომებს.

ვ. მაისურაძე.

**მოლითი** (შორაპნის მაზრა). რევოლიუციის მესაფლავე, კონტრ-რევოლიუციონერებმა თავი იჩინეს. ისინი სამოქმედო ასპარეზზე კარგა ხანია გამოვიდენ, რომლებიც თავიანთ მიზანს შეუგნებელ და სპეკულიანტ ჯარისკაცების საშუალებით ანხორციელებენ.

არ არის გასაკვირი, რომ მოლითის შეუგნებელი ყოფილი ჯარისკაცები ამნაირ პროვოკაციის ანკესზე წამოეგენ. მათ გადაუწყვეტიათ თოფების ჩამორთმევა და მერე სიკვდილით დასჯა ადგილობრივ ს.-დ. მ. პარტიის და აგრეთვე თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ალექსანდრე ღიბრაძისა. მათ თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანა მოუნდომებიათ 5 მარტს, როდესაც ამხ. ი. ღიბრაძე გამოსულა დილით თავის სახლიდან, ის ჩვეულებრივ წასულა საზ. სამმართველოსკენ. სამმართველოში შესვლისთანავე ის იქ შეგროვილ ჯარისკაცებს მისალმებია: „გამარჯობათ ამხანაგებო"-ო. ამისთვის მოუდგიათ შარი, „შენ ჩვენი ამხანაგი კი არა, მტერი ხარ, შენ გვარდიის წინამძღოლი ხარო და სხვ.

ამხ. ღიბრაძეს ბოდიში მოუხდია და უთქვამს: „ამას იქით აღარ მოგმართავთ ამხანაგობით"-ო. შეუტყვია, რომ მისი იქ დარჩენა ბოდიშის შემდეგაც შეუძლებელი იყო და გამოსულა წამოსასვლელათ. გამოსვლისათანავე მისთვის თოფის კონდახი დაუშენიათ. ძლივს-ძლიობით თავი დაუღწევია გამხეცებულ ბრბოსთვის. გაქცეულისთვის რამდენჯერმე უსვრიათ თოფი, მაგრამ ვერ მოუხვედრებიათ. ამის შემდეგ წაურთმევიათ სამი თოფი პატრონებით, რომლებიც ამხანაგების შესაიარაღებლათ ჰქონდა მოტანილი და კიდევაც მოუნდომებიათ მოკვლა, მაგრამ ზოგიერთ შეგნებულ ჯარისკაცებს გადაურჩენიათ. მიხაილოვისა და ყვირილის გვარდიელების დახმარებით ბოლოს შეიპყრეს ეს ყაჩაღთა ბრბო და იარაღი აჰყარეს.

გვარდიელი.

**ქ. ახალ-სენაკი.** 5 მარტს ადგილობრივი თეატრის დარბაზში შესდგა ქალაქის მცხოვრებთა კრება, ქალაქის თავმა ლორთქიფანიძემ ვრცელი მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტზე. შემდეგ თავმჯდომარე გ. ჯაკობიამ წაუკითხა ხალხს ბიქტორ თევზაიას მოწერილი წერილი, რომელშიაც სწერია, რომ ქალაქის მცხოვრებთ უნდა გადაიხადონ 50,000 მან., რისთვისაც იყო მოწვეული კრება. კრების დადგენილებით არჩეულ იქნა კომისია, რომელიც შესდგება 13 კაცისაგან. ქალაქის მცხოვრებნი გაყოფილ იქნა ორ ნაწილათ: ვაჭრები და შეუძლებელი მცხოვრებნი. არჩეულმა კომისიამ უნდა გააწეროს გადასახადი. კრების სურვილის თანახმათ დაიწყეს შემოწირულების შეგროვება. ელიაკიმინდმა შემოსწირა 1,000 მან. ეს ფულები გადაეცემა ინტერ-პარტიულ სამაზრო კომისიას.

სენაკში გაიხსნა საავადმყოფო 50 საწოლით. აქვე ქალთა სასწავლებლის შენობაში ეწერებიან მოწყალეთა დანი.

სენაკიდან ბათუმში გაემგზავრა წით. გვარდია ინტელიგენტებისაგან შემდგარი.

სერიოჟა მინდავა.

**ს ხაშმი.** აქ უკვე არსებობს გაწვრთნილი წითელი გვარდია—თანახმათ ინსტრუქციისა მზათ არის. წითელ გვარდიის წვრთნის პეტრე ივ. ლალიძე. წითელ გვარდიას აქვს თავის სასამართლო და სამხედრო შტაბი და სხ. ამიერ-კავკასიის ცენტრმაც თავისი მხრით ნება მისცა ვარანცოვკიდან ჩამოიყვანონ ასი ცხენი იაფ ფასებში.

უჯარმის საზოგადოებაში მუხრანის ყაზარმებს ხაშმის წითელ გვარდია ჰყარაულობს. ხუთ მარტს ღამის პირველ საათზე უცებ მოისმა თოფის სროლის ხმა მუხრანიდან, რასაც ზედ დაერთო ზარბაზნის სროლა. მთელი სოფელი იქ დაიბადა იარაღით ხელში, მაგრამ ეს პროვოკაცია გამოდგა. ხაშმის წითელ გვარდიამ გააფრთხილა უფროსები და ადგილობრივი ჯარისკაცები და კომისია აირჩია სახაზინო ქონების დასაცავათ.

ვ. მ.


კანტორა „განათლებაში" იყიდება თავვების და ვირთხების

საწამლავი

ოლღას ქ. № 6.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფო ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

ექიმი ქალი

რ. გ. შიოლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

იხსნება ავლაბარში

სახალხო უნივერსიტეტი.

ლექციების კითხვა იქნება სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და სომხურათ, მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ (მესამე რაიონის) კახეთის ქუჩა № 1, ლექციების კითხვა უფასოა. 4—4

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

გ. გ. მეგრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის. ძის

კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი

ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი

გ. დონხინი

ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი პ. ი. ჭვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ჭსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 4 მან. 50 კ. | 6 თვით | 27 მანეთი |
| 2 თვით | 9 მანეთი. | 1 წლით | 50 მანეთი |
| 3 თვით | 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. | |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.